# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 7 დეკემბერი. 2016 წ. №228 (8119), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ეკონომიკა

4

## ჰაერიდან ფულის კეთება სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს!



იმის გამო, რომ ხელისუფლებამ საქართველოში დაუშვა უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტების, კერძოდ, ვიწრო, ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება, ჩვენ მივიღეთ ფულის თამაში! ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?!

## ფოტოგრაფების საქმე გახსნილია

**გია აბდალაძე:**

„დამკვეთები იყვნენ მაშინდელი შს მინისტრი, შს მინისტრის მოადგილე უტიაშვილი... საქმის კურსში იყო მიხეილ სააკაშვილი“

ჩვენ ვართ უდანაშაულოები, ჩვენ დავისაჯეთ 26 მაისის დარბევის დროს ფოტოების გადაღების გამო, განაცხადა გია აბდალაძემ ჟურნალისტებთან ფოტოგრაფების საქმის გახსნის კომენტირებისას...

იხ. 5 გვ.

## უწინარესად ხელისუფლებას მიმართავდა!

3

## იენეზ მომდევნო წელს მაინც!..




## მთავარი დამნაშავენი არიან ყოფილი მაღალჩინოსნები დავით დევნოზაშვილი და ალექსანდრე მუხაძე

## აკი ინტერპოლი არ მუშაობსო?!.

### საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ მაისურაძე ლიტვაში დააკავეს

ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო BN-ი სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ზურაბ მაისურაძის ექსტრადირების საკითხზე სასამართლო იმსჯელებს.

ლიტვური მედიის ინფორაციით, მაისურაძე კიევიდან ვილნიუსში ჩაფრინდა, სადაც ის ლიტველმა მებაჟეებმა რუსეთის ინიციატივით გაცემული ინტერპოლის ორდერის საფუძველზე დააკავეს.

სააგენტო Delfi-ის ცნობით, ზურა მაისურაძეს 4 დეკემბერს ვილნიუსის სამოქალაქო სასამართლომ ცხრა დღით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.



## ქალის ყბა გამოიბეს!

### კიდევ ერთი ქარიშხალი ჭიქაში

2

## ავტომობილებზე ქონების გადასახადი სავალდებულო ხდება

11



## ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ისეთი მასშტაბური არ იყო, რომ ამას გავლენა მოეხდინა არჩევნებზე

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო წინასაარჩევნო მონიტორინგის შედეგებზე საუბრობს. ორგანიზაციის ანგარიშით, საპარლამენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება არ ყოფილა ისეთი მასშტაბების, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საარჩევნო გარემოზე.**

ლევან ნატროშვილის თქმით, მაინც დაფიქსირდა რამდენიმე ყურადსაღები ტენდენცია. როგორც ნატროშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ტენდენცია გამოიკვეთა 8 ოქტომბრის შემდეგ, მეორე ტურამდე არსებულ პერიოდში, როდესაც დაფიქსირდა აღსრულებითი ადმინისტრაციული რესურსების სავარაუდო გამოყენების ათზე მეტი შემთხვევა. კერძოდ, კონკრეტული ადამიანები საუბრობდნენ პოლიტიკური ნიშნით მათზე განხორციელებულ ზეწოლაზე. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობაში“ განმარტავენ, ასეთი განცხადებების სიხშირის მიუხედავად, სამართალდამცავ ორგანოებს არ მოუხდენიათ სათანადო რეაგირება. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, არჩევნების პროცესზე ნეგატიური გავლენა ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერების შესახებ ინტერნეტით გავრცელებულ ფარულ ვიდეო და აუდიოჩანაწერებს, რომლებიც ეტაპობრივად ქვეყნდებოდა სხვადასხვა ვებგვერდის მეშვეობით. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოებმა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაასრულეს გამოძიება წარმატებულად და ვერ მისცეს პასუხისგებაში ამ ჩანაწერის ავტორი ან გამავრცელებელი და სხვა.

**„აღსანიშნავია მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ საარჩევნო ღონისძიებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების მასშტაბური მობილიზება, რასაც, ფაქტობრივად, ყველა რეგიონში ჰქონდა ადგილი. ასევე დაფიქსირდა უკანონო აგიტაციის ბევრი ფაქტი, მათ შორის სოციალური ქსელის მეშვეობით. არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის წინ განსაკუთრებით გახშირდა სახელმწიფო უწყებების მიერ გაწეული საქმიანობების რეკლამირება ვიდეოროგოლებით, მოკლე ტექსტური შეტყობინებებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით“,** – აცხადებენ ორგანიზაციაში.

# ქალღის ყბა გამოიბეს!

## კიდევ ერთი ქარიშხალი ჭიქაში

ისტორიიდან გვახსოვს: პეტრე პირველმა ფანჯარა გაჭრა ევროპაში. ევროპაში ფანჯრის გაჭრა უპირველესად ევროპული კულტურის ზიარებას ნიშნავდა და ხელმწიფემ დაიწყო თავისი ქვეშევრდომების წვრთნა, რა თქმა უნდა, წვრთნა უმთავრესად დიდგვაროვნებს ეხებოდა, თორემ გლეხუჭები ვის რაში აინტერესებდა. უპირველესად ბოიარებისთვის წვერის სავალდებულო პარსვა დადგინდა. ჯიუტებს წვერს ნაჯახით აჭრიდნენ საჯალათო კუნძზე და აფრთხილებდნენ, შემდეგში წვერს თავიც მიჰყვებაო...

შემდეგ სავალდებულოდ იქცა ძველებური ბოიარული ბეწვის ჯუბა-ხალათების ნაცვლად კამზულის და სერთუკის ტარება. შემოიღეს სავალდებულო ბანაობა (კვირაში თუ ორ კვირაში – ერთხელ), ასევე სავალდებულოდ გამოცხადდა ასამბლეებზე – ბალებზე დასწრება, ოღონდ – იმ ბალებზე სპეციალურად შერჩეული ადამიანები ამოწმებდნენ მოცეკვავეთა სისუფთავეს. მაგალითად ქალბატონებს – ზრდასრულთაც და ახალაკოკრებულთაც სავალდებულო დეკოლტეს გაუწევდნენ და უბეში ჩაყნოსავდნენ, თუ ჭუჭყის (დაუბანლობის) სუნს შეიგრძნობდნენ, იქვე აუწევდნენ კაბაკრინოლინს და საჯაროდ გაწკეპლავდნენ.

ახლა იუნკრებს როგორ ამზადებდნენ საოფიცრედ, რათა სუფრაზე წვნიანის ისე ჭამა ესწავლებინათ, რომ იდაყვებით მეზობლად მსხდომნი არ შეეწუხებინათ, ყრმებს ორივე იღლიაში თითო წიგნს ამოიჩრიდნენ და კოვზებს ისე დააჭერინებდნენ. დედიშენის შვილი იყავი, ჭამისას იდაყვი მოგედუნებინა, წიგნი გაგივარდებოდა და სასჯელიც გამოწერილი იყო. სამაგიეროდ, რამდენიმე წლის შემდეგ ეს უკვე ჩვევად ექცეოდა და არც ერთ საზოგადოებაში თავს არ მოიჭრიდა.

ასეა, სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!

შეიძლება, ვინმემ გენების კარნახით მეცნიერებაში გადატრიალება მოახდინოს, მაგრამ საზოგადოებაში თავის დაჭერა გაუჭირდება, თუ ელემენტარული წვრთნა მაინც არ გაიარა.

რაღა შორს წავიდეთ, საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ცხვირს თითით იწმენდდა. რამდენი ნუვორიში გვყავს, თანამდებობებზე ისე აფრინდნენ, ადამიანებს შორის ყოფნის არაფერი გაეგებათ! არადა, ევროპაში სულ 25 წლის წინათ გაჭრილი სარკმელი ბევრს გვავალდებულებს, მათ შორის იმასაც, რომ სადმე გერმანიაში ან ინგლისში სუფრასთან სავსე პირით არ ილაპარაკო და არც ყველა ფუჟერი ღვინო ჩაღლივო ბოლომდე, ან სტუმრად მაისურით არ მიხვიდე.

ეტყობა, თბილისის მერს დავით ნარმანიას ბევრჯერ მოუხდა გაწითლება თავისი თანამშრომლების „სილაღის" გამო ოფიციალურ მიღებებზე ან უცხოურ მივლინებებში და გადაწყვიტა მათთვის ეტიკეტის დაწყებითი ჩვევები მიეცა. მერიის და საკრებულოს თანამშრომლებისთვის ჩაცმის და ჭამის ელემენტარული წესების შესასწავლად კურსები გაუხსნია, რასაც „რუსთავი-2"-ის ჩაწოდებით ისეთი აჟიოტაჟი და ხმაური მოჰყვა, „თავისუფალი მედიის" და „ლარის თემა" კინაღამ უკან ჩამოიტოვა. ის ხალხიც კი ახმაურდა, რომლისთვისაც დანა-ჩანგალი აქამდე სუფრის ინვენტარი კი არა, თავდაცვის იარაღი იყო, დიდი ნაცის დავით ბაქრაძის შეგონებით ტვინში ჩაჭედილი, როცა რუსეთთან ომის დროს 2008 წლის აგვისტოში, თბილისიდან ათესვის წინ, დაგვიბარა, დანა-ჩანგალი მოიმარჯვეთ და კარზე მომდგარი მტრისგან ქვეყანა დაიცავითო.




„რუსთავი-2"-მა „საკბილოს" ჩაავლო და უმალ გამოიყენა საზოგადოების გასაღიზიანებლად. თურმე ნუ იტყვით, ეს კურსები თბილისის ბიუჯეტს 7200 ლარი უჯდება (მხოლოდ პედაგოგთა ასანაზღაურებლად), და ეს მაშინ, როცა „ბავშვები შიმშილით იხოცებიან".

ალბათ, მართლაც საჭიროა ეს კურსები, ოღონდ, ჩემი აზრით, უნდა მორიდებოდნენ ამ სიახლის გასაჯაროებას და ძაღლის ყბის გამობმას. აი შედეგიც: „რუსთავი-2"-მა ალბათ უკვე ჩაშალა ეს წამოწყება – მიიმხრო და ააყვირა არა მარტო ნაცები, არამედ ზოგიერთი ოცნებელიც. ამან უკვე ფართო საზოგადოებრივი ჟღერადობა მიიღო... „თავისუფალი მედიის სიმბოლო" არა და არ იშლის მგლობასა!

გუშინ, ვითარცა ძუ მგელი, გესლიანად გამოეხმაურა ამ თემას „კეთილშობილი" სევდია უგრეხელიძე, ჩვენი ყოფილი, უკვე სასაცილო კოლეგა, მჩხიბავი ალეკო ელისაშვილი, საკრებულოს ნაციონალი დეპუტატი, „მწუხარე სახის" შემტევი მიშისტი რეზო ვეკუა და სხვანი...

საქმე არა გაქვთ, ხალხო?!

**ალეკო ასლანიშვილი**

## დავით ნარმანია: მერიის უწყებებმა სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლები აუცილებლად უნდა გადაამზადონ

**„მოვუწოდებ მერიის თანამშრომლებს, რომ ვიყოთ უფრო მეტად ყურადღებით, როცა ვგეგმავთ თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგებს, აქცენტი გავაკეთოთ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ საკითხებზე",** – ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ თბილისის მერიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც დავით ნარმანიამ აღნიშნა, აქცენტი უნდა გაკეთდეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ტრენინგებზე, რაც უკეთესი შედეგის მომტანი იქნებოდა, ვიდრე პროტოკოლისა და ეტიკეტის სწავლება.

**„მინდა, გამოვეხმაურო ბოლო ორი დღის განმავლობაში ატეხილ აჟიოტაჟს, მერიის სისტემის ფარგლებში ჩასატარებელ ტრენინგებთან დაკავშირებით. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს მოქმედი კანონმდებლობით ევალება ტრენინგების ჩატარება და პერიოდულად თანამშრომლების გადამზადება. საკანონმდებლო ვალდებულებაც რომ არ იყოს, მე პირადად ვთვლი, რომ ეტაპობრივად მერიის უწყებებმა სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლები აუცილებლად უნდა გადაამზადონ, რათა არ ჩამოვრჩეთ მიმდინარე სიახლეებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ტრენინგებზე უნდა ავიღოთ მეტი აქცენტი, ალბათ ამ შემთხვევაში ასეც უნდა გაგვეკეთებინა, რაც უკეთესი შედეგის მომტანი იქნებოდა, ვიდრე პროტოკოლის და ეტიკეტის სწავლება. ამიტომ მოვუწოდებ მერიის თანამშრომლებს, რომ ვიყოთ უფრო მეტად ყურადღებით, როცა ვგეგმავთ თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგებს, აქცენტი გავაკეთოთ გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ საკითხებზე",** – განაცხადა დავით ნარმანიამ.

## 22-მილიონიანი გრანტი სკოლების რეაბილიტაციას მოხმარდება

**ევროპის საბჭოს განვითარების ფონდის 22 მილიონიან გრანტზე და სასესხო შეთანხმების რატიფიცირებაზე პარლამენტის კომიტეტში იმსჯელეს.**

დეპუტატებმა დოკუმენტის პლენალურ სხდომაზე გატანას მხარი დაუჭირეს. თანხა თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაციას და ენერგოეფექტურობის გაზრდას მოხმარდება. აქედან 6 მილიონი ევრო საქართველოს გრანტის სახით გადაეცემა. ხელშეკრულება 20-წლიან სასესხო პერიოდს ითვალისწინებს, მათ შორის, შეღავათიანი პერიოდია 5 წელი. დაგეგმილია თბილისში 25 სკოლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, რომელთა შერჩევაც ევროსაბჭოს ექსპერტების მონაწილეობით მოხდება.



## საქართველო-აშშ-ის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ახალ საფეხურზე გადადის

**საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა ახალ საფეხურზე გადადის,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილის მაიკლ კარპენტერის შეხვედრაზე აღინიშნა.

მხარეების შეფასებით, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის სრულიად ახალ ჩარჩოს ქმნის მემორანდუმი, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის თბილისში ვიზიტისას გაფორმდა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, საქართველოს მთავრობა აფასებს ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიმართულებით. შეხვედრისას განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს წვლილი მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, რისთვისაც აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწის მოადგილემ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მადლობა გადაუხადა. ყურადღება საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითად საკითხებს, ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებსაც დაეთმო.

## თომას მელიას განცხადება მისი პირადი მოსაზრებაა!

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის თომას მელიას განცხადებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე ეხმიანება და, მისი თქმით, ეს არ არის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება.

**„რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი პოზიცია, სახელმწიფო დეპარტამენტი თავის პოზიციას თავის ანგარიშებში აქვეყნებს, იმ რეკომენდაციებს ვკითხულობთ და ვასრულებთ. ვფიქრობთ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის პირობებში იქნება მიღებული სამართლიანი გადაწყვეტილება, იმის იქით პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული გადაწყვეტილება არ არის სწორი, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება,"** – განაცხადა კობახიძემ. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-ზე საუბრისას ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დამოუკიდებლობა და პლურალიზმი მთავარი ელემენტია „რუსთავი-2"-თან მიმართებაში.

## ეროვნული ბანკი 2010 წლიდან ცდილობდა დედოლარიზაციაზე ემუშავა...

**„დედოლარიზაცია არის ის ფენომენი, რომელიც საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დარჩა საქართველოში და მასთან ბრძოლა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ეროვნული ბანკი 2010 წლიდან უკვე პრაქტიკულად ცდილობდა, რომ დედოლარიზაციაზე ემუშავა და სწორედ ამიტომ მოხდა რეფინანსირების სესხების შემოღება. დედოლარიზაცია კი, თავის მხრივ, ნიშნავს საკრედიტო რესურსების ლარში ხელმისაწვდომობას. ეს არ არის თავსხმოხვეული პოლიტიკა. ეს არის პოლიტიკა, რომელმაც დროთა განმავლობაში იქამდე უნდა მიგვიყვანოს, რომ ლარში აღებული სესხები გაიზარდოს. ეს კი თავისთავად იქნება წინაპირობა იმის, რომ საგარეო ფაქტორების ზემოქმედების მინიმიზირება მოხდეს. ეს არის ის, რაც დაეხმარება მოსახლეობას, რაც მომავალში დაეხმარება ბიზნესს, რამაც ეკონომიკური ზრდა უნდა გახადოს მდგრადი და რამაც უნდა შექმნას მეტი სამუშაო ადგილი საქართველოში",** – განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გვენეტაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „მთავარის" ეთერში სტუმრობისას.

# უწინარესად ხელისუფლებას მიმართავდა!

## იქნებ მომდევნო წელს მაინც!..




**ხვალ, 8 დეკემბერს, დიდი ხელოვანის, ჯარისკაცის მამის რეზო ჩხეიძის საიუბილეო თარიღია – მისი დაბადებიდან 90 წელი სრულდება. მის გარეშე ვხვდებით.**

**სახელმწიფო კაცი იყო და მისი ცხოვრების ბოლო წლებშიც სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ჰუმანიზმის დიდი მაგალითები მოგვცა.**

**„არასრულწლოვანს, ქალს, 70 წელს გადაცილებულ მამაკაცს, ციხეში რა უნდა, თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე არ ჩაუდენიაო"** – მისწერა 2014 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას.

მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა ამ დიდი ჰუმანური წინადადების განხილვა. იქნებ ახლა მაინც შევძლოთ.

სამების ტაძარში „ქართული ერთობის დარბაზის" დაფუძნების დღეს, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საზოგადოებას წარვუდგინეთ „მოქმედების მანიფესტი – ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო", მომავლის საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ გვითხრა: **„ჩემი თაობის მეგობართა ფართო წრე, ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე, ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლოთრთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილს, რეზო ამაშუკელს, ჯანსულ ჩარკვიანს და არაერთ სხვა დიდ მოღვაწეს, ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღეს სამმა გენიოსმა – ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. დიდხანს მინდა ვიცოცხლო, ვიყო თქვენს გვერდით, ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად".**

ამ სიტყვების შემდგომ ორი წელი იცოცხლა. დღეს არც ბატონი რეზოა ჩვენს შორის და არც ბატონი მერაბ ბერძენიშვილი. მაგრამ დარჩა თაობათა დიდი მოწოდება:

**„გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!"**

ამ განწყობით მოღვაწე ქართველებმა, საქართველოს შვილებმა და საქართველოს მეგობრებმა ისტორიის მძიმე ქარტეხილებში გამოატარეს ჩვენი ქვეყანა. ბატონ რეზო ჩხეიძეს ჰქონდა სურვილი, რომ დოკუმენტურ ფილმებად გვექცია „ქართული მთაწმინდა", მადლიერებით ვყოფილიყავით ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მხრებით ზიდა ქართული განწყობა. ეს სამომავლო საქმეა და დარწმუნებული ვართ, ხალხის, ხელისუფლების მხარდაჭერით, ამას შეძლებს ბატონი რეზო ჩხეიძის მიერ დაარსებული და ქართველი ხალხისთვის საჩუქრად გადაცემული ტელევიზია „ქართული" . ამ ეტაპზე კი საშური საქმეა, დავიწყოთ ბატონი რეზო ჩხეიძის იდეის „მადლიერების დღეების" აღნიშვნა, დავიწყოთ იგი ამ იდეის ავტორის, ბატონი რეზოსადმი მადლიერების დღით.

7 დეკემბერს, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, ხოლო ბატონი რეზოს დაბადების დღეს, 8 დეკემბერს, მის მშობლიურ ქალაქ ქუთაისში, ტარდება დიდი ხელოვანისადმი მადლიერების დღეები.

კარგი გადაწყვეტილება მიიღო კინოთეატრ „საქართველოს" მეპატრონემ, უცხოეთში მოღვაწე კეთილმა კაცმა თენგიზ აბესაძემ: მის მიერ დიდი რუდუნებით რეკონსტრუირებულ და უკვე საერთაშორისო სტანდარტების კინოთეატრში ერთ-ერთ დარბაზს მისი დაბადების დღეს, ბატონი რეზო ჩხეიძის სახელი მიენიჭება.

ჩვენ გვინდა მთელ საქართველოს, მის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ წარვუდგინოთ ბატონი რეზო ჩხეიძის სულ ბოლო წერილი **„ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც!"**

ეს თხოვნა მართლაც, უკანასკნელი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეში ბატონი რეზო ჩხეიძე გარდაიცვალა.

რას ითხოვდა დიდი ხელოვანი:

**„მომდევნო 2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი 800 წლის იუბილის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეს, მართლაც მსოფლიო დღესასწაული იყო სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევძლოთ, რომ დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით უფრო მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.**

**სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ოქტომბრის თვეში, თბილისობის დღეებში. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. გენიალურმა შოთამ და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მთელ მსოფლიოში მიმოზნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები".**

დღემდე ვერ შევძელით მისი შესრულება. არ არის ეს კარგი. არ არის კარგი, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოხერხდა დიდ სახალხო სურვილად ქცეული დავით აღმაშენებლის ძეგლის დაბრუნება სწორედ იმ ადგილზე, სადაც მისი აღმართვა მოხდა საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. **იქნებ მომდევნო წელს მაინც დავაბრუნოთ დავით აღმაშენებლის ძეგლი პირვანდელ ადგილზე. იქნებ მომდევნო წელს მაინც შევძლოთ დიდი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს აღნიშვნა... იქნებ მომდევნო წელს მაინც ჩავატაროთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი ისე, როგორც ეს ბატონ რეზოს თავკაცობით ჰქონდა დაგეგმილი მეცნიერთა, ხელოვანთა, სახელმწიფო მოღვაწეთა დიდ ჯგუფს.**

ამ საქმეებს სჭირდება სამთა კავშირი: **ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების**. დარწმუნებული ვართ, ხელისუფლების თაოსნობით, ეს დიდი საქმეები განხორციელდება.

**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, რომან რურუა, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი, ნუგზარ ბაგრატიონი, ზურაბ ბაგრატიონი, გია ბაგრატიონი, მერაბ ანდრონიკაშვილი, პეტრე ჩხეიძე, რევაზ ძოძუაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ენდი გოგლიჩიძე, გიორგი კანდელაკი, რამაზ ლომინაძე, ალექსანდრე ოჩიგავა, მერაბ თავაძე, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, დავით გველესიანი, გოგი ჯაოშვილი, ემილ მიქაია, ოლეგ ნიკოლეიშვილი, როლანდ კილაძე, ლაური ჯანაშია, ჯამლეთ ხუხაშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, რეზო ესაძე, გურამ ბათიაშვილი, გუჯა ბურდული, ლევან ფირცხალავა, ნონა ღამბაშიძე, ვასილ დავითაია, მიხეილ ანდღულაძე, ბაკურ გულუა, ინესა იამანიძე, ბადრი გვილავა, ვახტანგ გვარამია, დავით სახვაძე,მაია კვეზერელი-კოპაძე, მაყვალა კოლუაშვილი, ენრიკო ჯანელიძე, მალხაზ ხარაძე, ლაშა ნიქაბაძე, გრიგოლ შონია, ზაურ გამსახურდია, გიორგი სიგუა, კონსტანტინე ვერულაშვილი, ალექსი კობაიძე, ომარ ჟვანია,ვალერი ასათიანი,ვაჟა აზარაშვილი, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ვლადიმერ კანდელაკი, შოთა ზოიძე, დავით თევდორაძე, ირაკლი თოდუა, რევაზ ბალანჩივაძე, ანზორ ბალუაშვილი, რობერტ ბაბლუანი, ვახტანგ ხარჩილავა, თემურ ჩალაბაშვილი, გია ჯანბერიძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, მალხაზ დათუკიშვილი, სოსო ბაჩიაშვილი, ხათუნა ჩარკვიანი, ირინა თურქია, ციცინო თოდუა, შოთა ჩხეიძე, ოთარ მენაბდე, კოба კობალაძე, დათო ქობალია, პაატა გიორგაძე, ამირან აფციაური, ბადრი ქუთათელაძე, იოსებ არჩვაძე, მიხეილ ჯიბუტი, ლევან ღვინჯილია, ნინო ფორაქიშვილი, გიგა მჭედლიშვილი, ბონდო ჯიქია, ავთანდილ იოსელიანი, ნუგზარ დუჩიძე, გურამ დუმბაძე, ნათელა დუმბაძე, ელგუჯა მინაძე, ნოდარ ელიაშვილი, გივი ჯაფარიძე, მაილო ჯაში, ჯემალ მარგველიძე, თეიმურაზ ჯერაპოვი, თათა ენდელაძე, ზურაბ ერქვანია, თინათინ მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, დუგლას ზამთარაძე, ვახტანგ აბშილავა, თემურ ჭანტურიშვილი, ზაზა ლილუაშვილი, ნოდარ წულუკიძე, გულიკო გაბაიძე, გიზო გოგიტიძე, ზაურ გოგიტიძე, ასლან კომახიძე, გიორგი კუპრეიშვილი, დავით მამულაძე, ვალერი მოქერია, ჩიტო ომირიძე, რეზო რომანაძე, ზაურ სოლომონიძე, ანზორ თავართქილაძე, ლევან ნინიძე, ნუგზარ ნადარაია, ოთარ ხუხუნი, გოჩა აფშილავა, მერაბ შენგელია, თამთა ბერიაშვილი, ნათია ჯიმშელეიშვილი, რაჯი ფილიპია, ჯონი ბარამიძე, გივი გაგნიძე, შაქრო კვირკვია, კობა არაბული, ნუგზარ კვაშალი, ვადიმ ანასტასიადი, ზაქრო მამასახლისი, გელა მესტიაშვილი, თენგიზ აბესაძე, ოთარ ჟორდანია, ვახტანგ ჯორჯიკია, ვასილი კადენეცი, თემურ კაკოჩაშვილი, ლია გოგიტიძე, ნუნუ ჩიჯავაძე, ქეთევან ჩიხელიძე, მედეა ჩოგოვაძე, ასან აბაშიძე, დავით მორჩილაძე, კობა ხამაშურიძე, კონსტანტინე ვერულაშვილი, ზურაბ ხასია, გიორგი ჭინჭარაული, ზურაბ ბედია, ნოდარ ბერიძე, ვაჟა ბერიძე, ლონდერ ცაავა, ანზორ ცაგურია,ვახტანგ წივწივაძე, ანზორ წოწონავა, ნანული წერეთელი, თინა კაკუშაძე, დათო ყალიჩავა, მურთაზ ჭაბუკიანი, ვლადიმერ ფანგანი, გელა ფარჩუკიძე, შოთა შანშიაშვილი, ლაშა ფალიანი, ვასიკო ჩიგოგიძე, გივი წერეთელი, ალეკო ძოწენიძე, ალექსანდრე ჩხიკვაძე, ტარიელ დგებუაძე, ანზორ დანელია, მურმან ხახანაშვილი, რამაზ გოგისვანიძე, დავით რევიშვილი, გიული ჩხიკვაძე, გიორგი სიხარულიძე, ირინა ფურცელაძე, რუსუდან ბოლქვაძე, შორენა ჯანხოთელი, კახაბერ ჭიჭინაძე, ნათია რევაზიშვილი, ოთარ ჯიქია, რობინ უზილავა , ამირან აბესაძე, კობა ამირხანაშვილი, ალი ბაბაევი, შიო არსენიშვილი, თამარ ადამია, თამარ სიხარულიძე, კლარა ტონია, დალი სტურუა, ვახტანგ ქიზიყურაშვილი, ლევან მხეიძე, მერაბ კილაძე, კორნელი კინწურაშვილი, არმაზ დარაშვილი, ოთარ ხუფენია, რეზო ქარაზანაშვილი, გენრი კავლელიშვილი, თემურ კეკელიძე, რუსლან გვარაძე, ნანა სარიშვილი, მაყვალა ხორბალაძე, მზია დავითაშვილი, გიორგი გაგლოევი, ელენე ჯანჯალია, მანანა გაბუნია, ქეთევან ჩიქავა, თამარ ღვინაძე, გიორგი ჭინჭარაული, ვილენ ალავიძე, მერაბ ბაგრატაშვილი, ნიკოლოზ დადიანი, ნინო ცხოიძე, ირინე მუსელიანი, ანზორ დანელია, თამარ ლობჟანიძე, ეკა ყიფიანი, მიხეილ კონოსოვი, თათუზა ყურაშვილი, დიმიტრი კოპალიანი, გივი ყურელი, გივი ქუთათელი, ვახტანგ მიროტაძე, ლადო ცოფურაშვილი, ოთარ ჭოხონელიძე, რაინდი ჯავახაძე, პუსკუ ღოღობერიძე, გოგი გოგოლაშვილი, თეიმურაზ გოგრიჭიანი, ვალერი გორგიძე, ამირან ცერცვაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, ნუგზარ შავთვალაძე, ალექსანდრე სამთაძე, კარლო წულაია, ლერი უდესიანი, გიორგი შაშიაშვილი, ნინო ჩხეიძე, ალეკო ჩხეიძე, გურამ ჩხეიძე, იგორ ჩხეიძე, სოსო ჩხეიძე**

# ეკონომიკა: ჰაერიდან ფულის კეთება სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს!



**იმის გამო, რომ ხელისუფლებამ საქართველოში დაუშვა უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტების, კერძოდ, ვიწრო, ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება, ჩვენ მივიღეთ ფულის თამაში! ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?!**

**მძიმე საპარლამენტო არჩევნებიდან გამოსულ დამაჯერებლად გამარჯვებულ ხელისუფლებას ჯერ თვალებიც არ მოეფშვნიტა, რომ პოლიტიკურ ქარიშხალს მოყოლილმა სავალუტო ცუნამმა ქვეყანას ტალღების დგაფუნით გადაუარა. სააკაშვილით ნადეფიციტარ ნაცებსაც მეტი რა უნდოდათ, რახან საკბილო გამოჩნდა, მათ ერთმანეთის ჯიჯგნას დროებით თავი ანებეს და მთავრობის მორიგ თათხვა-გინებაზე გადაერთვნენ: აქამდისაც ვამბობდით და ამ ბოლო დღეებში, როცა ლარმა რეკორდული ტემპით იწყო გაუფასურება (1 დეკემბერს მისმა კურსმა დოლართან მიმართებაში 2,7 ლარი შეადგინა), კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ივანიშვილის ხელდასხმული მთავრობა არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას ეწევა, ქვეყნის განვითარებას მიზანმიმართულად ამუხრუჭებს და ხალხის კეთილდღეობას უფსკრულისკენ მიაქანებსო.**

— ასიათასობით პენსიონერს იმედი გაუცრუეთ, როდესაც მათ პენსიის გაზრდაზე უარი სტკიცეთ, ადანაშაულებენ ნაცები ქოცებს, — ეკონომიკა ერთ ადგილზე გაყინეთ, ინვესტორები დააფრთხეთ, ბიზნესი ჩაკალით, ინფრასტრუქტურული პროექტები ჩააგდეთ, თანამდებობები ჩამოირიგეთ და საზოგადოების კეთილდღეობა პირად კეთილდღეობაზე გაცვალეთ. აი, ესა ხართ თქვენ და მეტი არაფერიო!

რით პასუხობენ მეორედ უმრავლესობით გახელისუფლებული ქოცები ნაცების არცთუ მთლად დაუსაბუთებელ ბრალდებებს? რითა და მთავრობის ეკონომიკური ინიციატივებით, ეგრეთ წოდებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის გეგმით, რომელიც პრემიერმა კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე გაახმაურა, ისიც ითქვა, თუ რა შედის ამ სასწრაფოდ განსახორციელებელი პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. როგორც პრემიერმა განაცხადა, ესენია საწვავზე და თამბაქოს ნაწარმზე აქციზების ზრდა, მოგების გადასახადის გაუქმება, ონლაინ-სესხების აკრძალვა, დედოლარიზაცია და სხვა.

მთავრობის მიერ „გაჟღერებული" მოსასმენად ერთობ სასიამოვნო ეს ინიციატივები კი გახმაურდა, მაგრამ მას მყისვე გამოუჩნდნენ ჩასაფრებული მოკრიტიკენი ცალკე ნაცების და ცალკე კიდევ ეკონომიკის ექსპერტთა მხრიდან. გაუგებრობა გამოიწვია მთავრობის სხდომაზე კვირიკაშვილის მიერ გაკეთებულმა იმ განცხადებამ, რომ 1 იანვრიდან ონლაინ-სესხები აიკრძალებოდა. რამდენიმე საათში ეს განცხადება უარყვეს საპარლამენტო უმრავლესობამ და მინისტრებმა, რომელთაც „განმარტეს", რომ ასეთი სესხები კი არ აიკრძალება, არამედ რეგულირებას დაექვემდებარება.

ეკონომიკის უმეტეს ექსპერტთა აზრით, მთავრობის ინიციატივები ეკონომიკის წინაშე მდგომ მწვავე პრობლემებს წყვეტს მხოლოდ გადაგორების რეჟიმში და არ ატარებს მისი სისტემური გაჯანსაღების ხასიათს. ამის მაგალითად სახელდება რეინვესტირების ფარგლებში მოგების გადასახადის გაუქმება. ის, რისი მიზანიც იყო ეკონომიკაში ფულის ჩატოვება იმისათვის, რომ ეკონომიკური აქტივობისთვის სტიმული მიეცათ, იქვე იქნა განულებული აქციზების ზრდით. ფაქტობრივად, რა თანხაც პირველი ინიციატივით ეკონომიკაში უნდა ჩაეტოვებინათ, მეორე ხელით ისევ უკან ამოიღეს (!). საწვავზე აქციზების ზრდა გარდაუვალი გაძვირების წინაშე დააყენებს განსაკუთრებით იაფფასიან პროდუქტებს, რომელთა ფასწარმოქმნაში ტრანსპორტირება სერიოზულ როლს თამაშობს.

**ცალკეულ სპეციალისტთა განმარტებით, ლარის გაქცევა-არგაქცევა, გაუფასურება, არგაუფასურება არ არის ამ ხელისუფლების პრობლემა (ხედავთ, ასეთი აზრიც არსებობს!). ზოგადად ლარი არასოდეს ყოფილა ეკონომიკაზე მიბმული. მოთხოვნა-მიწოდება საქართველოში ყოველთვის იყო დეფიციტური. დოლარზე უფრო მეტი მოთხოვნაა, ვიდრე მიწოდება შეუძლიათ. ჩვენ ვართ მომხმარებელი ქვეყანა, იმპორტზე დამოკიდებული. ბუნებრივია, იმპორტი დოლარში ხორციელდება და ამას ვერ აბალანსებს ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.**

მაგრამ სააკაშვილის დროს თუ ხერხდებოდა ამის დაბალანსება, ახლა რაღა ღმერთი გვიწყრება? — იკითხავს მკითხველი და მართალიც იქნება. საქმე ის გახლავთ, რომ ერთმმართველი დიქტატორი ამას ახერხებდა ქვეყანაში ვირტუალური კეთილდღეობის სურათის შექმნით, დონორებიდან შემოსული უზარმაზარი თანხებით და ბიზნესის ულმერთოდ გატყავებით, დღევანდელმა ხელისუფლებამ ასეთ „წყაროებზე" სრულიად სამართლიანად თქვა უარი და შესაბამისად ვითარებაც დამძიმდა.

შექმნილ რეალობას ვითომ მარტო ეს გარემოება ამძიმებს? არაო, აცხადებს პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ექსპერტი დემურ გიორხელიძე. „იმის გამო, რომ ხელისუფლებამ საქართველოში დაუშვა უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტების, კერძოდ, ვიწრო, ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება, ჩვენ მივიღეთ ფულის თამაში! ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?! — სვამს კითხვას ექსპერტი მრავალმნიშვნელოვნად.

ამავე მოტივით საგანგაშო განცხადებას აკეთებს ყოფილი დეპუტატი, პარტია „ეროვნულების"ლიდერი სანდრო ბრეგაძე. „მე მომაწოდეს 30 კაცისგან შემდგარი სია (სათანადო დოკუმენტაციით გამყარებული), რომელთა შორის არიან პარლამენტის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, სამინისტროების ხელმძღვანელი პირები. ეს ადამიანები ფულს სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელით აპროცენტებენ. სწორედ მათი ქმედების შედეგია, რომ ნახევარი საქართველო დღეს გაუბედურებულია, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მათი წყალობით დაკარგა ბინები და ქონება".

დამეთანხმებით, ეს უკვე, რაზეც გიორხელიძე და ბრეგაძე ასე ღიად და საჯაროდ ლაპარაკობენ, არის შეგნებული, კარგად ორგანიზებული დანაშაული, რომლის წყალობითაც ერთეული სახელმწიფო მოხელეები თუ დეპუტატები მილიონებს აკეთებენ, ხალხს კი ალატაკებენ. მე პირადად ამ დანაშაულს ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ, მაგრამ დამნაშავენი თუ მართლაც რეალურად არსებობენ, ეს ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, პროკურატურა, საინტერესოა, საით იყურებიან ან რას ელოდებიან, რომ არ გამოააშკარავებენ და სადაც ჯერ არს, თავს იქ არ უკრავენ?!

ასეთ ვითარებას, როცა ქვეყნის ეკონომიკა მიღოღავს, მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარზეა, ხოლო სახელმწიფო და საბანკო სექტორის ვიღაც გავლენიანი ჯგუფები ლარის კურსს საკუთარი ინტერესების წისქვილზე წყლის მისაშვებად იყენებენ (ხალხში ასეთი აზრი მუსირებს), კიტრის ფასი ედება ხელისუფლების მხრიდან იმით თავის მოწონებას, რომ ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მხრივ აღიარებული 5 რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის კვლავ 10 ტოპ-რეფორმატორთა შორისაა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მან 23-დან მე-16 ადგილზე გადაინაცვლა.

ტყუილად ინუგეშებენ თავს „ქართული ოცნების" მესვეურნი ამ წარმატებით. ეკონომიკის რაიმე წინსვლაზე საუბარი, როცა ეროვნული ვალუტა აღმა-დაღმა უაზროდ დახტის, უბრალოდ, შეუძლებელია. ლარი გახლავთ ის თერმომეტრი, რომელიც ყოველწუთიერად უზომავს ტემპერატურას ქვეყნის ეკონომიკას. იმისათვის, რომ კურსი დასტაბილურდეს, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტული ბაზარი, მოხდეს ლარზე მოთხოვნის სტიმულირება. ქვეყნის შიგნით ვაჭრობა უნდა ხორციელდებოდეს ლარში და არა სხვა ვალუტაში, ბინები, ავტომანქანები უნდა იყიდებოდეს ლარში. კომერციული ბანკები არ უნდა ფლობდნენ სავაჭრო ობიექტებს, სამშენებლო კომპანიებს, საავადმყოფოებს, სხვა მრავალ ობიექტს.

დღემდე არჩევნებით მოსული ყველა ხელისუფლება ხალხს ჰპირდებოდა, რომ განავითარებდა მცირე და საშუალო ბიზნესს, დაასაქმებდა ხალხს და სწევდა უკეთეს ცხოვრებას. ყველა ეს დაპირება, მათ შორის „ქართული ოცნებისაც" დარჩა მოგონებად და მირაჟად. იქნებ არც დაგვიჯერონ, მაგრამ მაშინ ედავონ „საქსტატს", რომლის მონაცემებით, წელს წინა წლებთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესში 25 ათასი კაცით ნაკლებია დასაქმებული! რა დასამალია, ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი რგოლი ვერა და ვერ ამოვიდა ჭაობიდან.

მცირე და საშუალო ბიზნესს ამ ჭაობისკენ თავის დროზე უბიძგა ზურაბ ნოღაიდელმა, რომელმაც მაღალი თანამდებობა იმისთვის გამოიყენა, რომ კანონი მცირე მეწარმეობის შესახებ გაეუქმებინა. ამიტომაც არის, რომ ეკონომიკის ზრდის ამ პერსპექტიულ დარგში დღეს ქვეყანა ცხოვრობს აბსოლუტურ საკანონმდებლო ვაკუუმში. თუ გვინდა, რომ დარგი გამოცოცხლდეს, პირველ რიგში, უნდა აღდგეს კანონი მცირე მეწარმეობის შესახებ, სადაც მათთვის ზუსტი სტატუსია განსაზღვრული. თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე აუცილებლად მიიჩნევს საშუალო და მსხვილი ბიზნესის გადასახადების გამიჯვნას. „თუ არ ავამოქმედებთ კანონს, ამბობს ის, რომელიც დაიცავს როგორც მცირე, ასევე საშუალო მეწარმეებს, მრავალი პროექტი დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ეგიდით გახსნილი ყველა საწარმო ან გაკოტრდება, ან გადავა ჩრდილში".

აი, თურმე რამდენი პრობლემა-გამოწვევა დაუგროვებია ქვეყნის ეკონომიკას, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ კი იმის მაგივრად, რომ დამსხდარიყვნენ, არსებითად გაეანალიზებინათ შექმნილი მწვავე მდგომარეობა და ეკონომიკის გაჯანსაღების გრძელვადიანი პროგრამა დაესახათ, მთელი ოთხი წელიწადი ძირითადად ერთმანეთის კინკლაობასა და ლანძღვა-თათხვაში გაატარეს.

ამ გაუთავებელ კინკლაობას ახლა მაინც წერტილი უნდა დაესვას.

**ახალ პარლამენტს და აღმასრულებელ ხელისუფლებას, ბუნებრივია, მეტი პრინციპულობა მოეთხოვება, რომ სრულიად ახლებურად მიუდგნენ სერიოზულ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის პრობლემებს.**



**საპარლამენტო უმრავლესობას ქართველმა ხალხმა უკეთესი მუშაობის ყველა პირობა შეუქმნა.**

**ოთარ ხუციშვილი**

# მთავარი დამნაშავენი არიან ყოფილი მაღალჩინოსნები დავით დევნოზაშვილი და ალექსანდრე მუხაძე




## ფოტოობიექტივით დანახული სიმართლე და ნაციონალთა განუკითხაობის ზეობის დასასრულის დასაწყისი



**საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ ე.წ. „ფოტორეპორტიორების საქმეზე", ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით განხორციელებული სამსახურებრივი მდგომარეობის გადამეტების ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ.თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორის ალექსანდრე მუხაძის მიმართ გამოტანილ იქნა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ. ამავდროულად, პროკურატურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფოტორეპორტიორების: გიორგი აბდალაძის, ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი და ნათელა გედენიძეების მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების გადასინჯვის თაობაზე და პროკურატურა მათ მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენების დადგომას მოითხოვს.**

აღნიშნულ საქმეზე, პროკურატურის მიერ ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, შესწავლილ იქნა საგამოძიებო და სასამართლო საქმის მასალები, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რის შემდეგაც გამოვლენილ იქნენ ამ დანაშაულში ჩართული საჯარო მოხელეები და თავის მხრივ დადასტურდა ფოტორეპორტიორების უდანაშაულობა მათთვის წარდგენილ ბრალდებაში. გარდა ამისა, პროკურატურამ საიდუმლო გრიფის მიმნიჭებელ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეძლო ფოტორეპორტიორების საქმის ყველა ძირითადი მასალის და დოკუმენტის განსაიდუმლოება, რის შემდეგაც მოგვეცა საშუალება საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი და ასევე გავაცნოთ ახალი გამოძიებით დადგენილი მნიშვნელოვანი ფაქტები.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ფოტორეპორტიორი გიორგი აბდალაძე, ევროპის პრეს სააგენტოს ფოტორეპორტიორი ზურაბ ქურციკიძე და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე აქტიურად აშუქებდნენ 2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე, ხელისუფლების საწინააღმდეგო საპროტესტო აქციის დროს მომიტინგეების დარბევის და სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს, რასთან დაკავშირებითაც მათ მიერ გადაღებულმა ფოტოებმა მსოფლიოს წამყვან პრეს სააგენტოებში დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაც ნეგატიურად აისახებოდა იმჟამინდელი ხელისუფლების რეიტინგზე. სწორედ ამ ფაქტით გამოწვეული ხელისუფლების უკმაყოფილების შედეგად, ანგარიშსწორების მიზნით, 2011 წლის 7 ივლისს, შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდებით, ღამის საათებში, საგანგებოდ ჩატარებული სპეცოპერაციის გზით, საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დააკავეს ზურაბ ქურციკიძე, გიორგი აბდალაძე, ირაკლი გედენიძე და ნათელა გედენიძე. ფოტორეპორტიორების დაკავებამდე, შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი ახორციელებდა ზურაბ ქურციკიძის სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებას. ზურაბ ქურციკიძე 2004 წლიდან დღემდე მუშაობს ევროპის პრეს სააგენტოს „ეპა"-ს ფოტორეპორტიორად, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ფრანკფურტში, ხოლო ამიერკავკასიის მასშტაბით ქ.მოსკოვში. თავისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე ზურაბ ქურციკიძეს ხშირი სატელეფონო საუბრები ჰქონდა ხსენებული სააგენტოს თანამშრომლებთან, რომელთაც ხელშეკრულების საფუძველზე, ჰონორარის სანაცვლოდ უგზავნიდა როგორც მის მიერ გადაღებულ ფოტოსურათებს, ასევე ამ სააგენტოს სტრინგერების – უშტატო თანამშრომლების: ირაკლი გედენიძის და გიორგი აბდალაძის მიერ გადაღებულ ფოტოებსაც. სწორედ, ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი გედენიძის და გიორგი აბდალაძის მიერ განხორციელებული ფოტორეპორტიორობა დაედო საფუძვლად სამართადამცავების მხრიდან მათი ჯაშუშობის ბრალდების ლეგენდის შექმნას. კერძოდ, გამოგონილი ჯაშუშობის ბრალდების თანახმად, 2004 წელს ზურაბ ქურციკიძე ქ.მოსკოვში სამსახურებრივი მივლინების დროს გასამრჯელოს დაპირების საფუძველზე კონფიდენციალური თანამშრომლობისთვის გადაბირებული იქნა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლების მიერ. მათი ორგანიზებით ზურაბ ქურციკიძე თითქოს სისტემატურად უგზავნიდა ევროპის პრეს სააგენტოს თანამშრომლებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ფოტოებს და მასალებს, რომლებსაც ქურციკიძე მოიპოვებდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ოპერატორის ირაკლი გედენიძის და საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ფოტოგრაფის გიორგი აბდალაძისგან, რომლებმაც თითქოსდა იცოდნენ ქურციკიძის რუსულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ. გამოგონილი ბრალდების თანახმად ფოტოგრაფების მიერ შექმნილ ჯაშუშურ ქსელს თითქოს დახმარებას უწევდა ირაკლი გედენიძის მეუღლე, ფოტოგრაფი ნათელა გედენიძე. სამართალდამცავების მიერ ხსენებული ბრალდებით ფოტორეპორტიორების დაკავებას საზოგადოებაში და საერთაშორისო მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თბილისში დაიწყო პერმანენტული აქციები ფოტორეპორტიორების გათავისუფლების მოთხოვნით. იმჟამინდელი ხელისუფლება მასმედიის და საზოგადოების წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. საზოგადოება პროკურატურისგან საქმის გასაჯაროებას და უკანონოდ დაკავებული ფოტორეპორტიორების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდა. ყოველივე ამის შედეგად, სამართალდამცავებმა დაიწყეს ფოტორეპორტიორების მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა და შანტაჟი, რათა შედეგად მათ მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები, რომელსაც გაასაჯაროებდნენ, საზოგადოებას შეიყვანდნენ შეცდომაში და ამ გზით შეეცდებოდნენ საპროტესტო ტალღის ჩაცხრომას. ამ მიზნით, **დაკავებულების დროებითი მოთავსების იზოლატორში შეყვანისთანავე, მათთან არაოფიციალურად შედიოდა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ქ.თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსის ყოფილი მოადგილე დავით დევნოზაშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც მოსალოდნელი ციხის მძიმე პირობების და მათი ოჯახის წევრებისთვის პრობლემების შექმნის მუქარით დაჟინებით ითხოვდა ჯაშუშურ ქსელში მონაწილეობასთან დაკავშირებით აღიარებით ჩვენებაზე ხელის მოწერას.** ამას დაემატა ისიც, რომ დაკავებულ ნათელა გედენიძეს დავით დევნოზაშვილმა წარუდგინა სახლის ჩხრეკის დროს კომპიუტერიდან უკანონოდ მოპოვებული ფოტო და აღიარებითი ჩვენების არმიცემის შემთხვევაში დაემუქრა მისი საჯარო სივრცეში გავრცელებით, რის შედეგადაც ნათელა გედენიძე გახდა ცუდად და დასჭირდა ექიმის დახმარება. აღნიშნული ფოტო ასევე აჩვენეს დაკავებულ ირაკლი გედენიძეს და დაემუქრნენ მისი გავრცელებით. განხორციელებულ ზეწოლას ვერ გაუძლეს ცოლ-ქმარმა ნათელა და ირაკლი გედენიძეებმა და ისინი იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ სამართალდამცავების მიერ წინასწარ შეთხზული ცრუ აღიარებითი ჩვენებისთვის, რის შემდეგაც ნათელა გედენიძე გაათავისუფლეს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, ხოლო ირაკლი გედენიძეს სამომავლოდ შეპირდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და გიორგი აბდალაძესთან და ზურაბ ქურციკიძესთან ერთად გადაიყვანეს სასჯელაღსრულების №8 დაწესებულებაში. **ციხეში ფოტორეპორტიორების შეყვანისთანავე, საპყრობილის დირექტორის ალექსანდრე მუხაძის ორგანიზებით და დახმარებით სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ გაგრძელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მათ საკნებში არ ქრებოდა შუქი და საკნები აყვანილი იყო მუდმივ ვიდეოკონტროლზე. ალექსანდრე მუხაძის დავალებით პატიმრები აჰყავდათ ციხის ადმინისტრაციაში, სადაც დავით დევნოზაშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად აგრძელებდა მუქარას აღიარებითი ჩვენების მისაღებად.** საბოლოოდ, განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, 8 დღის შემდეგ, ზურაბ ქურციკიძე და გიორგი აბდალაძეც დაითანხმეს აღიარებითი ჩვენების მიცემაზე, მათ საგანგებოდ შეასწავლეს სამართალდამცავების მიერ წინასწარ დაწერილი ჩვენება, რასაც მთელი ღამის განმავლობაში ამეორებინებდნენ დაკავებულებს, რათა ადვოკატების თანდასწრებით არაფერი შეშლოდათ. მეორე დღეს კი მათი დამცველი ადვოკატების მონაწილეობით ვიდეოკამერაზე ჩაწერეს აღიარებითი ჩვენებები, რასაც ადვოკატების მწვავე პროტესტი მოჰყვა. საქმის წარმატებით დასრულებას სწორედ ადვოკატების მიერ გამოთქმული პროტესტი უშლიდა ხელს. აქედან გამომდინარე, გიორგი აბდალაძეს და ზურაბ ქურციკიძეს დააწერინეს განცხადებები და უარი ათქმევინეს მათ დამცველ ადვოკატებზე, რის შემდეგაც პროკურატურის მაღალჩინოსნების მოთხოვნით და რეკომენდაციით საქმეში სხვა ადვოკატები ჩაერთვნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ზურაბ ქურციკიძესთან, გიორგი აბდალაძესთან, ირაკლი და ნათელა გედენიძეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში. სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ, კი ფოტორეპორტიორებს მკაცრად აუკრძალეს ამ თემაზე ყოველგვარი საუბარი საჯარო სივრცეში. **კონტრდაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით დევნოზაშვილი დაკავებულია საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, ხოლო №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8-წლამდე ვადით.** აღნიშნულ საქმეზე საქართველოს მთავარი პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას ამ დანაშაულში ჩართული სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების გამოსავლენად. გარდა ამისა, უკანონოდ გასამართლებული ზურაბ ქურციკიძის, გიორგი აბდალაძის, ირაკლი და ნათელა გედენიძეების მიმართ პროკურატურის მიერ გამოტანილია დადგენილებები მსჯავრდებულის უფლების არსებითად დარღვევის თაობაზე, რის საფუძველზეც ჩვენ მივმართავთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენების გადასინჯვის მოთხოვნით.



**ციხეში ფოტორეპორტიორების შეყვანისთანავე, საპყრობილის დირექტორის ალექსანდრე მუხაძის ორგანიზებით და დახმარებით სამართალდამცავების მხრიდან მათ მიმართ გაგრძელდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რასაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა. მათ საკნებში არ ქრებოდა შუქი და საკნები აყვანილი იყო მუდმივ ვიდეოკონტროლზე. ალექსანდრე მუხაძის დავალებით პატიმრები აჰყავდათ ციხის ადმინისტრაციაში, სადაც დავით დევნოზაშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად აგრძელებდა მუქარას აღიარებითი ჩვენების მისაღებად.**

**საქართველოს პროკურატურა**

# იაპონელებს „სუში“ უყვართ, ჩინელებს – მოხარშული თევზი, ქართველებს – ხმელა პური...

## მსოფლიოში პურის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება

**ბოლო დროს სულ უფრო მეტი წერილი და გამოკვლევა, სატელევიზიო გადაცემა ეძღვნება კვების პროდუქტების დამზადების საკითხებს. სამეცნიერო ჟურნალებში, ინტერნეტსა და გაზეთში მრავალფეროვანი ინფორმაცია ვრცელდება, მეცნიერთა და ამ სფეროში მომუშავე ადამიანების დამოკიდებულება ამ საკითხებზე არაერთგვაროვანია, იმართება სამეცნიერო კონფერენციები და სხდომები სულ ახლახან საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიამ იმსჯელა ჯანსაღი საკვების წარმოების და დამზადების საკითხებზე. ამავე თემას მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია 27 ნოემბერს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც 70 წელი შეუსრულდა კვების მრეწველობის მოწყობილობათა კათედრას.**

მსოფლიო ორგანიზაცია ფაო საგანგაშო განცხადებებს ავრცელებს, რომ საერთოდ კვების პროდუქტების სამყოფადობასთან დაკავშირებით ალბათ ბევრმა არც იცის, რომ სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით მოქმედებს საერთაშორისო კოდექსი „კოდექს ალიმენტარიუსი“, რომელიც კვების პროდუქტების წარმოებისას თანამედროვე ნორმების აუცილებლად დაცვას ითხოვს.

უნდა აღინიშნოს მეცნიერების როლი თანამედროვე მიდგომებში, რადგანაც ბოლო დროს გამოყენებულ ტერმინს „კვების ტექნოლოგიების „მოდერნიზაციას“ შესაძლებელია უწოდო რევოლუციური. რამდენიმე წლის წინათ (მოდერნიზაციის შემდეგ) მეცნიერული დაკვირვებითა და კვლევების შედეგად ზარ-ზეიმით დანერგილი ახალი ტექნოლოგიები თურმე არც ისე სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ინტენსიური ტექნოლოგიები მთელ რიგ მტკიცებულებებს, სხვადასხვა ემულგატორებს, ფერმენტებს, დანამატებსა და კონსერვანტებს ეყრდნობა.

მოგიყვანთ რამდენიმე პრაქტიკულ მაგალითს. ტრადიციულად შამპანური ღვინის დამზადებას წლები სჭირდებოდა, მასალა რომ შამპანურად ჩამოესხათ. გასაზრდელად გარკვეული დრო სჭირდებოდა, ბროილერის ქათამს, პომიდორს — დასამწიფებლად... პურის ცხობის 8-10-საათიანი ტექნოლოგიური ციკლი ერთ საათში ჩაატიეს და ა.შ. დღეს ეს პროცესები ინტენსიური ტექნოლოგიების, თანამედროვე ბიოქიმიური პროცესების ხელშეწყობით, სხვადასხვა ფერმენტების, დანამატების გამოყენებით დაჩქარდა. ამ სფეროში შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება აუცილებლად მიმაჩნია, რადგანაც ბაზრის მოთხოვნა მეწარმეს კარნახობს, რომ მის მიერ დამზადებულ პროდუქტს ჰქონდეს კარგი ფერი, დიდხანს არ ფუჭდებოდეს და შესაბამისად შეინარჩუნოს გემო. ერთი სიტყვით — უპასუხებდეს მარკეტინგის მოთხოვნებს. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა სხვადასხვა დანამატებისა და ინგრედიენტების საშუალებით. ამიტომ დღეს, როდესაც საუბრობენ, მაგალითად, საფუარის ავკარგიანობაზე, ხშირად მცდარი შეხედულებები ვრცელდება, რომლებიც მეცნიერულად შეუსწავლელია და ნეგატიური აზრის გაჩენას უწყობს ხელს. ინფორმაციისთვის მინდა იცოდეთ: უსაფუაროდ არც ლუდი მზადდება, არც ღვინო და არც რძის პროდუქტები. ლაპარაკია ნორმების დაცვაზე, ასევე შაქრის შემცვლელებზე. მეცნიერები დაობენ და ხშირ შემთხვევაში უარყოფითად არიან განწყობილი, როგორც მარილის ნორმების გაზრდის, ისე რაფინირებული ცხიმების, განსაკუთრებით სწრაფი კვების ობიექტების ტირაჟირების მიმართ და აღნიშნავენ, ეს კუჭ-ნაწლავისთვის სასარგებლო არ არისო.

ძალიან დიდი წინააღმდეგობაა გაზიანი სასმელებისადმი და მსოფლო რიგ ქვეყნებში ბავშვებს უკრძალავენ მათ მიღებას. ალბათ, წამკითხველი გამიბრაზდება კიდეც, მაგრამ ჩემი ვალია, ვიცოდეთ სწორი მეცნიერული დასკვნები კვების პროდუქტების დამზადების მიმართ და მივცეთ პრიორიტეტი ისეთ პროდუქტებს, რომლებიც სრულყოფილადაა დამზადებული, რადგანაც კვების პროდუქტებით გამოწვეული დაავადებები სულ უფრო მატულობს, სტატისტიკა არასახარბიელოა.



მეცნიერთა ნაწილი მოითხოვს საკვებში მაკრონუტრიენტების, ანუ ვიტამინების დამატებას, მეორე ნაწილი კი — მიკრონუტრიენტებით გამდიდრებას. არიან მეცნიერები, რომლებიც ცილებით გამდიდრებას და რკინის დამატებას გვთავაზობენ. შეგახსენებთ ფოლიუმის მჟავას და B ჯგუფის ვიტამინებს. ფოლიუმი თუ სასარგებლო და აუცილებელია ფეხმძიმე ქალისათვის, ის სხვა უჯრედების გადიდებასაც უწყობს ხელს და მეტად საფრთხილო პრეპარატია, რადგან გვერდითი მოვლენებისაგან არ ვართ დაზღვეული, თუმცა საქართველოში მწვანილში, კიტრში და ყველა მწვანე პროდუქტში შედის ფოლიუმის მჟავა და მთელი პასუხიმგებლობით შემიძლია აღვნიშნო, რომ ჩვენში მისი დეფიციტი არ გახლავთ (შედარებით დაბალანსებულია). საინტერესო ფაქტი: მიუხედავად იოდიზებული მარილის მოხმარებისა, ამ მარილის დეფიციტისგან გამოწვეული დაავადებები მომრავლდა. რაშია საქმე? ამაზე მეცნიერებმა უნდა გვიპასუხონ (გამოიკვლიონ).

ძალიან საინტერესოა ამა თუ იმ ქვეყნის საკვები რაციონი და მისი მოხმარების კულტურა და ისტორია. ცნობილია იაპონელების სიყვარული უმი თევზის „სუშისადმი“, მისი საპირისპიროა ჩინელების ცნობილი სამზარეულო, რომელიც უმეტესად მოხარშულს აძლევს უპირატესობას. ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ სამხრეთი ამერიკა ერთ დროს შიმშილსა და მოსავლის სიმწირეს განიცდიდა. ცნობილმა ფირმა „მონსანტომ“ გენური ინჟინერიით მოყვანილი ჭარბი მოსავლით მოსპო პრობლემა, თუმცა რის ხარჯზე? ეს საკითხი შესასწავლია, მას მოწინააღმდეგეები გაუჩნდა. დღეს არგენტინაში, მექსიკასა და ბრაზილიაში შიმშილის პრობლემები თითქმის მოხსნილია. ეს ქვეყნები ცდილობენ თავიანთი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე გატანას, რომელიც ჩვენამდე აღწევს.

ამ ფონზე საინტერესოა რუსეთის სოფლის მეურნეობა, რომელმაც წელს სარეკორდო 116 მილიონი ტონა ხორბალი მოიწია ყოველგვარი ქიმიური ჩარევების გარეშე, რუსეთს მოხმარებისათვის 35-40 მილიონი ტონა ჰყოფნის, ასევე რეკორდული იყო საქართველოში მოყვანილი ხორბალი — თუ არ ვცდები, 300 ათას ტონამდე, სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში კარგი მოსავალი გვქონდა, თუმცა ქართული ხორბლის ხარისხი კვლავ მოიკოჭლებს.

აუცილებლად მინდა ორი სიტყვით მოგახსენოთ საფუართან დაკავშირებულ კომერციულ სპეკულაციაზე — ვერც ერთი მეცნიერული ნაშრომი მსოფლიოში (მხედველობაშია სერიოზული მეცნიერული კვლევა) და მეცნიერთა დასკვნა ვერ ამტკიცებს საფუარის უარყოფით თვისებებს. ზემოთ ვახსენე და ვიმეორებ: უსაფუაროდ არც ლუდი მზადდება, არც ღვინო და არც რძის პროდუქტი, პური ხომ — თავისთავად. რძემჟავა ბაქტერია „საქარომიტი“ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოაჩინეს მეცნიერებმა. დედას პურში თვითონ „დედა“ (დამჟავებული ცომი) რძემჟავა ბაქტერიის შედეგადაა მიღებული და იგივე საფუარი 30 გრადუსს ზევით იშლება (რომ აღარაფერი ვთქვათ ცხობის დროს 250 გრადუსზე), ხოლო 65 გრადუსს ზევით მიმდინარეობს პასტერიზაცია, რასაც ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა მიაკვლია, ამიტომ ნუ ვაშინებთ ადამიანებს. ძალიან უბრალო მაგალითს მოვიყვან საილუსტრაციოდ. აიღეთ კვერცხი და მოხარშეთ 100 გრადუსზე. ნებისმიერი მიკრობი იქ მოიხარშება, საქართველოში კომერციული თვალსაზრისით ბოროტი რეკლამები გაჩნდა. მიზნის მისაღწევად ნუ ვისარგებლებთ უვიცი მარკეტოლოგების მოწოდებით. ეს დიდი უზნეობაა, მითუმეტეს დღევანდელ სოციალურ გარემოში. ინფორმაციისთვის მინდა იცოდეთ — ერთადერთი პროდუქტი ხორბალია, რომელსაც ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები არ შეხებია და მასში მზის ენერგია ფოკუსირდება ძალიან საინტერესო და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სპექტრით. სწორედ ამიტომ გახლავთ პური № 1 კვების პროდუქტი. ის მდიდარია ნახშირწყლებით და საინტერესო სპექტრით, სასარგებლო საკვებია და მსოფლიოში მისი მოხმარება ყოველწლიურად მატულობს.

**მალხაზ დოლიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,**
**ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

**◎ წერილი რედაქციას**

# „მადანა“, ზესტაფონში?..

**გვინდა, მადლიერება გამოვხატო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მიმართ, რომელიც შეეცადა, მეწარმეებს გვერდით დაგვდგომოდა წლევანდელი 4 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული წერილით „უმადურობა თაღლითობის თანხლებით“. იგი შეეხებოდა ზესტაფონში მცხოვრებ მაია ჩხეიძესა და თბილისში ზესტაფონის ქუჩაზე მდებარე პურის ქარხანას შორის არსებულ საიჯარო ურთიერთობას და მოიჯარის მიერ გადასახადის თავის არიდების მიზნით უსინდისოდ გაპარვას. წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოიჯარის მეუღლე, სოფელ ფუთის გამგებელი გია ჩხეიძე ჯერ შეგვპირდა მაია ეტაპობრივად გადაიხდის გადასახადსო, მერე ცოტა დრო რომ გავიდა (არჩევნების შემდეგ), სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ, მე ცოლს ვშორდებიო. დაგვემალა მათი სიძეც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია და სიდედრის რიხიან დამცველად მოგვევლინა.**

გაზეთში გამოქვეყნებული წერილის შემდეგ (როგორც ჩანს, პრესას ჯერ კიდევ ძალა გააჩნია), ადამიანმა, რომელიც ტელეფონზეც აღარ გვპასუხობდა, დაგვირეკა და აქეთ დაგვემუქრა — ჩამოვიდე ერთი „მადანა“, როგორ გაბედეთ წერილის დაწერაო. ზესტაფონელებო, მადანა ცხოვრობს მატყუარა მეწარმე მაია ჩხეიძე — თუთბერიძე, რომელიც არც მეუღლის ავტორიტეტს უფრთხილდება და არც დედაქალაქის. საკუთარი რაიონის მოსახელე ქუჩაზე განლაგებულ საწარმოს, ეტყობა, ზესტაფონელებიც არაფრად მიაჩნია. მას ავიწყდება, რომ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობს.

**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი;**
**თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე მდებარე პურის №4 ქარხნის სამეთვალყურეო საბჭო.**

**◎ „მედიატორი“**

# განათლების სამინისტრომ 9 თვეში 2 მილიონ ლარზე მეტი პრემია და დანამატი გასცა

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ათი თვის განმავლობაში, მხოლოდ შტატიანი 221 თანამშრომლისთვის,გაცემულმა ხელფასმა, რომელშიც მინისტრისა და მისი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოც შედის, 2 მილიონ 839. 968.31 ლარი შეადგინა.**

120 უშტატო თანამშრომლის ხელფასი კი 1 მილიონ 297 342 ლარია. ჯეჯელავას უწყებაში მინისტრის, მისი მოადგილეებისა და სხვა შტატიანი თანამშრომლების პრემია-დანამატების ოდენობა 1 515 474 ლარია, ამას ემატება 120 უშტატო თანამშრომლისთვის მიცემული პრემია, რაც სამინისტროს ინფორმაციით 463 514 ლარს შეადგენს. რაც შეეხება სამივლინებო და წარმომადგენლობით ხარჯს, სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით დახარჯული თანხის ოდენობა საჯარო ინფორმაციაში დასახელებული არ არის.

# რესტორნებში თბილისის მერია თვეში დაახლოებით 47 000 ლარს ხარჯავს

თბილისის მერიამ 2016 წლის იანვრიდან დღემდე სარესტორნო ხარჯებში 513 318 ლარი, რაც თვეში დაახლოებით 47 ათას ლარამდეა.

**„რა გამოდის ახლა, მერიას ნახევარ მილიონ ლარზე მეტი რესტორანში ისე აქვს დახარჯული, რომ თანამშრომლებმა დანა-ჩანგლის ხმარება ვერ ისწავლეს და ამისთვის კიდევ ტენდერი გამოცხადდა, რომელიც მოსახლეობის ჯიბიდან უნდა დაფინანსდეს. დაგვცინიან,“** — ამბობს ბიძიშვილი.



# მწერლები და მათი მიმბაძველები

## ციკლიდან „დროის იეროგლიფები“




– არ არის მიღებული, პოეტი, რომელსაც გერმანელი მკითხველი მხოლოდ ორი თხზულებით იცნობს, მაშინვე გენიოსად გამოაცხადოთ, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში გამონაკლისია დასაშვები.

ამას ლეო ნუსიმბაუმი იტყოდა, იგივე ესად-ბეი, იგივე ყურბან საიდი, მისი ეს სიტყვები კი აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანს – „კარდუ, ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“ – დაერთვოდა სარეკლამო ტექსტად, ალექსანდრე ორბელიანის თაოსნობით რომ გამოიცემოდა ორჯერ: 1999 და 2003 წლებში. პირველ გამოცემას გერმანულადვე მიედევნებოდა შტეფან ცვაიგის, ნიკოს კაზანძაკისის, ჰანს იორსტისსა და ნიკალაუს ზომბარტის აღმატებულ სტრიქონებთან ერთად, მეორე გამოცემისას კი ყველა ამ ამონარიდის ქართულ ვერსიებსაც გაეცნობოდა მკითხველი.

ყველა ციტატა სახოტბოა, მაგრამ ყურბან საიდის სიტყვები აშკარად აჭარბებს დანარჩენებს თავისი დითირამბულობით, დაწყებული განსჯა ასე რომ გრძელდება:

– დღევანდელი აღმოსავლეთი ილვიძებს ახალი ლიტერატურული ყოფიერებისათვის. რაბინდრანათ თაგორი იყო პირველი სახელი, რომელმაც ამ დუმილის შემდეგ, საუკუნეებს რომ გასტანა, აღმოსავლეთიდან ევროპაში შემოაღწია. ახლა მას მოჰყვა გრიგოლ რობაქიძე. ოღონდ რობაქიძე უფრო ძირძველია, უფრო მეტად არის დაკავშირებული მიწას, ვიდრე ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი. ცოცხალი დემონურობა აისახება რობაქიძის ნაკვთებში. იგი ახლა ბერლინში ცხოვრობს და ვინც მას ქუჩაში გადაეყრება, ძალაუნებურად თვალს გააყოლებს. იგი სულიერების სუვერენია.

ხედავთ? ყურბან საიდი გრიგოლ რობაქიძეს თვით რაბინდრანათ თაგორზეც მაღლა აყენებს ძირძველობითა და მიწასთან უფრო მჭიდრო კავშირით.

უკანასკნელი ფრაზა ხომ ყველაზე მოხდენილად აჯამებს ამ პასაჟს, „გენიოსის“ ეპითეტით დაწყებულს, მარჯვედ მოძებნილ ფორმულაში რომ ჩატევს „გველის პერანგის“ შემოქმედის პიროვნებასა და ლიტერატურულ ღვაწლს:

სულიერების სუვერენიო.

აღმოსავლეთიდან წამოსული კაცი ევროპული ცხოვრების დუღილში სისხლხორცეულად გრძნობს თავს და ის სურნელიც მოაქვს, საუკუნეები რომ ჰყოფდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს.

თამამად, თავისუფლად შედის გრიგოლ რობაქიძე ევროპის კულტურულ წრეში და გზას უკაფავს თავის სამშობლოსაც იმ წრეში დასამკვიდრებლად. სულიერ დაახლოებას კი ადრე თუ გვიან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დაახლოებაც უნდა მოჰყვეს და ასეთ დროს, უამრავ მოღვაწესთან ერთად, ამ პიროვნების ღვაწლიც უნდა გვეძვირფასებოდეს და კიდეც სათანადოდ აღვნიშნავდეთ.

თუმც ამჯერად მთავარი სწორედ ყურბან საიდის აღტაცებული დამოკიდებულებაა გრიგოლ რობაქიძისადმი, სულიერების ამ სუვერენს თავისებურად რომ დაემონაფებოდა კიდეც და „გველის პერანგში“ ჩართულ სიუჟეტს – ერთგვარ რომანს რომანში – გამოიყენებდა ვრცელი მოთხრობისათვის „ალი და ნინო“, მასკულტურის ტიპური ნიმუშისათვის, ბულვარულობის დონეს რომ არა სცილდება და... ამიტომაცაა, რომ უფრო პოპულარული გახდებოდა გერმანიაშიც, ვიდრე მისი ქართული პირველწყარო; და ქართულად თარგმნის მერე ჩვენშიც ისეთ სარეკორდო რიცხვს მიაღწევდა მისი მკითხველების რაოდენობა, არამცთუ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ გადააჭარბებდა, ამ მხრივ ლამის ყველასა და ყველაფერსაც მოიტოვებდა უკან. ამას ხელს შეუწყობდა კარგად ორგანიზებული სატელევიზიო რეკლამა, და სწორედ იმიტომ, მასკულტურას რომ წარმოადგენდა და გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს საშუალება ეძლეოდათ, მისი მოშველიებითაც დაპირისპირებოდნენ ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებებს.

ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ, რაც მასკულტურის პროპაგანდა გახელისუფლებული ნაციონალური მოძრაობის ხელში სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბდებოდა, ამ მოთხრობის პერსონაჟებს – ალისა და ნინოს – ძეგლსაც კი დაუდგამდნენ ბათუმში.

ქართველ მწერალთაგან ასეთი დაფასება გაემეტებოდათ მხოლოდ და მხოლოდ ნოდარ დუმბაძისა და მისი რომანის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ – გმირებისათვის.

ამ მოვლენას – ალისა და ნინოს ძეგლს – საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ყველა მკვლევარი – ლიტერატორი იქნება, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი თუ ფსიქიატრი – როგორც კი ეპოქის აბსურდული რეალობის ანალიტიკური განსჯა და შეფასება დასჭირდებათ. აქ კი მხოლოდ ის ითქვას, რომ არამცთუ სხვა დიდებულ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, გრიგოლ რობაქიძესაც კი არა რგებია ეს პატივი (პერსონაჟებს ვიღა ჩივის!) – მისი ქანდაკებაც იყოს აღმართული: თბილისში თუ არა, საქართველოს ნებისმიერ ქალაქში, თუნდ იმავე ბათუმში, რომელიც, სხვათა შორის, ვალშია გიორგი მაზნიაშვილისა და პავლე ინგოროყვას წინაშეც.

ეს იმ შემთხვევათაგანია, მამა რომ დაგვიწყებია და მამინაცვალს იფიცებ.

თუ რაიმე უბედურება გვჭირს, ეს ერთი უპირველესია.

„ალი და ნინო“ „გველის პერანგში“ ჩართული სიუჟეტის გადამღერება რომ არის, ეს უკვე დადგენილად ითვლება ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში (თამარ ინჯია, ლევან ბრეგაძე) და აღარც მარინე ტურავას დასჭირდებოდა ბევრი ფიცი და მტკიცი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ტელეარხ „იბერიას“ ეთერში, გადაცემაში „3-დან 5-მდე), როდესაც გამოეხმაურებოდა აზერბაიჯანელების მიერ გადაღებულ კინოფილმს „ალი და ნინო“, და შეახსენებდა მაყურებელს ჩვენს, ქართველების წილს მის შექმნაში:

რომ არ დაწერილიყო „გველის პერანგი“, არ იარსებებდა „ალი და ნინო“ და მის ქარგაზე ვეღარც ფილმს გადაიღებდნენ.

როდესაც ესპანელ მსახიობს იწვევ ამ კინოფილმში მონაწილეობისათვის – ქართველი გოგონას როლის შესასრულებლად, ცხადია, სჯობდა და ეთიკურად გამართლებულიც იქნებოდა, ეს როლი ქართველ მსახიობს შეესრულებინა. რა, არ მოინახება ჩვენში შესაფერისი ნატურა? თუ რაიმეს, ლამაზმანების ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ... აზერბაიჯანელი კინემატოგრაფისტები მოერიდებოდნენ პირველწყაროს კვალზე მინიშნებას.

ისინი კი მოერიდებოდნენ, მაგრამ ჩვენ რატომღა მოვერიდოთ „გველის პერანგის“ აფრიალებას, როგორც აზერბაიჯანული წარმოშობის მწერლის მოთხრობის – და აწ უკვე ფილმისაც – პირველწყაროსი?!.

საავტორო უფლებებზე ტყუილუბრალოდ დავიწყებდით ლაპარაკს, რაკიღა ეს საქმე ჩვენში ჯერაც მოუწესრიგებელია, საერთაშორისო არბიტრაჟის იმედი კი ნაკლებ უნდა გვქონდეს, ვიდრე ჯეროვნად არ დააფასებენ ქართულ ლიტერატურას ევროპაში, ანუ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჭეშმარიტ მხატვრულ მონაპოვარს შეუწყობს ხელს დასავლეთში გასაღწევად და არა მასკულატურას, იმ მასკულტურას, რომელიც დასავლეთშიც უხვადაა, მაგრამ იქ მასაც თავისი სახელი ჰქვია და კულტურულ მიღწევებსაც.

ესეც კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხავი ჩვენი მრავალტანჯული რეალობისა... ამ შემთხვევაში ამასღა რომ ვკმარობთ, „ალი და ნინოს“ პირველწყაროს არსებობა, სულიერების სუვერენის მიერ შექმნილისა და რაბინდრანათ თაგორზე უფრო აღმატებული გენიოსის, მივაწვდინოთ დასავლეთის სალიტერატურო და კინემატოგრაფიულ წრეებსაც და... ჩვენს თავსაც, თორემ მამინაცვლის გაუთავებელი დაფიცება მამის მაგივრად სიკეთეს არ შეგვყრის.



ისე:

ნუთუ ესეღა გვრჩება სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა?!.

**როსტომ ჩხეიძე**

---

**მიღებაზე ექიმთან**




# რითი იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები

### ავადმყოფობის ამბულატორიული სამედიცინო ბარათი

**დიაგნოზი:** ქრონიკული კორონარული უკმარისობა.

**საქმიანობა:** პოეტი, დრამატურგი.

**დაბადების თარიღი:** 1940 წ.

**გარდაცვალების თარიღი:** 1996 წ.

არსებობს ცნობილი ლეგენდა იმის შესახებ, რომ ერთმა მარჩიელმა ქალმა იოსებ ბროდსკის უწინასწარმეტყველა, რომ იგი 55 წელზე მეტს არ იცოცხლებდა. იმასაც ამბობენ, რომ პოეტმა თითქოს იხუმრა კიდეც ამის თაობაზე და მაშინვე გადაავიწყდა ეს ამბავი, მაგრამ, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, წინასწარმეტყველება ახდა.

გულის არეში ტკივილები პირველად პოეტმა 24 წლისამ, ციხის საგამოძიებო იზოლატორში ყოფნისას იგრძნო. იოსები არსად არ მუშაობდა, რაც იმხანად უსაქმურობად ითვლებოდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ისჯებოდა. ექიმმა პატიმარს რაღაც უცნობი წამალი გაუკეთა და გაურკვევლად წაილუღლუღა, თითქოს იგი სიმულანტობდა. რამდენიმე თვის შემდეგ, არხანგელსკში გადასახლებაში ყოფნისას, ტკივილმა გამეორება დაუწყო. ბროდსკი რამდენჯერმე დააწვინეს რაიონულ საავადმყოფოში, მაგრამ იქაურმა მედიკოსებმაც ყველაფერი სამუშაოდან გასათავისუფლებლად სიმულაციას მიაწერეს. ამდენად, მისი გულის მკურნალობა არც არავის დაუწყია, თუმცა კი სტენოკარდია განუვითარდა.

1972 წელს იოსებ ბროდსკი ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა, სადაც 36 წლის ასაკში მიოკარდის პირველი ინფარქტი მოუვიდა. დროული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, ექიმებმა ადრეული პოსტინფარქტული სტენოკარდიის დიაგნოზი დაუსვეს, რაც, არსებითად, ინფარქტის გართულებას ნიშნავს. ორი კვირა მან კლინიკაში გაატარა, სადაც ყოველმხრივი გამოკვლევა ჩაუტარეს. მედიკოსებმა დაბეჯითებით ურჩიეს ბროდსკის წონის დაკლება და მეტი მოძრაობა, მკაცრი დიეტის დაცვა და დანიშნული წამლების მიღება. უცნობია, ასრულებდა თუ არა ბროდსკი მედიკოსთა რჩევებს, მაგრამ ორი წლის შემდეგ იგი კვლავ საავადმყოფოში მოხვდა. ამჯერად მას აორტოკორონარული შუნტირება ჩაუტარეს (ეს ოპერაცია გულის არტერიებში სისხლის მიწოდებას აღადგენს), მაგრამ ერთი წლის შემდეგ მეორე ინფარქტი მოუვიდა, ამიტომ მისი შუნტირების მეორე ოპერაციისთვის მომზადება დაიწყეს.

მესამე ინფარქტი პოეტს ზედ საოპერაციო მაგიდაზე დაემართა, მიუხედავად ამისა, ოპერაცია მაინც გაუკეთეს, ორი წლის შემდეგ იოსებ ბროდსკი იმდენად მოყოჩაღდა, რომ მას კორონარული ანგიოპლასტიკის ოპერაცია გაუკეთეს, რის მიზანი დაბლოკილი კორონარული არტერიების გახსნა იყო, თუმცა კი ამან ვერ უშველა. ამის გამო იყო, რომ მომდევნო რამდენიმე წლის მანძილზე პოეტს მხოლოდ ნელა სიარული შეეძლო, თანაც გამუდმებით ნიტროგლიცერინს სვამდა. არადა, ასეთი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, იგი თამბაქოს მოწევას თავს მაინც არ ანებებდა და არც წონაში დაკლებას ცდილობდა.

საბოლოოდ მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ დღის წესრიგში გულის გადანერგვის საკითხი დადგა, რასაც ბროდსკი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ოპერაციას ვერ გადაიტანდა, თუმცა კი იმხანად შტატებში გულის გადანერგვის ოპერაციების დროს სიკვდილიანობის მაჩვენებელი 10 პროცენტს არ აღემატებოდა.

მართალია, ამჟამად ექიმებს მიაჩნიათ, რომ პოეტი ოპერაციის გაკეთებას რომც დათანხმებულიყო, სისხლში ლიპიდების ცხიმების მაღალი შემცველობისა და იმუნიტეტის დამთრგუნველი პრეპარატების გამუდმებით მიღების აუცილებლობის გამო (რათა ორგანიზმს გადანერგილი ორგანო არ განეუცხოებინა), ამას დამატებული ჭარბი წონა და თამბაქოს მოხმარება, წარმატებული შედეგის მიღების ალბათობა, ფაქტობრივად, ნოლის ტოლი იყო. 1996 წელს კი მეოთხე ინფარქტმა ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი იოსებ ბროდსკი იმსხვერპლა – იგი თავის სამუშაო კაბინეტში გარდაიცვალა.

### თანამედროვე მიდგომა

**გულის უკმარისობის მკურნალობის დროულად დაწყება სტაციონარშია საჭირო. საჭიროა თავიდანვე უარის თქმა თამბაქოს მოწევაზე და მკაცრი დიეტის დაცვა, მით უმეტეს ჭარბი წონის შემთხვევაში ექიმები ნიშნავენ გულის რიტმის მომწესრიგებელ და სტენოკარდიის მბლოკავ პრეპარატებს. საჭიროა ასევე სისხლის გამათხელებელი, სისხლძარღვთა გამფართოებელი და ჰიპოლიპიდემიური წამლების მიღება.**

დროული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი სასიკეთოა.

**მოამზადა**
**ნინო ალექსანდრიამ**



# ვლადიმირ პუტინის მორიგი რევერანსი რაულ ხაჯიმბას

**რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერის რაულ ხაჯიმბას მოსკოვში შეხვედრიდან ზუსტად ორ დღეში, აფხაზური ოპოზიციის ლიდერი დააკავეს. ეს მოხდა რუსეთის ტერიტორიაზე, ქალაქ სოჭში.**

**ასლან ბჟანია ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ამცახარას" თანათავმჯდომარეა. მან 15 დეკემბრამდე მისცა „პრეზიდენტ" რაულ ხაჯიმბას ვადა, რომ თანამდებობა დატოვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი არეულობით დაემუქრა.**

ასლან ბჟანია სოჭში პირველად ორ დეკემბერს დააკავეს და ნარკოლოგიურ კლინიკაში გადაიყვანეს. მას, როგორც რუსეთის მოქალაქეს, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტს ედავებოდნენ. გაჩრიკეს მისი კუთვნილი ბინაც. სამ დეკემბერს, იგი ორჯერ შეეცადა აფხაზეთში გადასვლას, ისევ დააკავეს და პირდაპირ უთხრეს, რომ „იგი რუსეთის და აფხაზეთის მტერია"

ასლან ბჟანიას დაკავებას ოკუპირებულ აფხაზეთში სარკისებური ეფექტი ჰქონდა. ოპოზიციამ რაულ ხაჯიმბას რეჟიმი „პოლიტიკური ოპონენტების დევნაში" დაადანაშაულა, ხოლო 4 დეკემბერს ასლან ბჟანიას მშობლიურ სოფელ ტამიშში 500-მდე ადამიანმა სოხუმი-გალის საავტომობილო გზა გადაკეტა. დესტაბილიზაციის ასაცილებლად რაულ ხაჯიმბამ სოხუმში სასწრაფო წესით შეკრიბა „უშიშროების საბჭო". მან კატეგორიულად უარყო ასლან ბჟანიას დაკავებასთან კავშირი და რუსეთის ხელისუფლებას ოპონენტის სასწრაფოდ გათავისუფლებისაკენ მოუწოდა. 4 დეკემბერს კი, 19 საათსა და 30 წუთზე, ასლან ბჟანიამ ფსოუს საკონტროლო-გამშვები პუნქტი გადაკვეთა და პირველი კომენტარი გააკეთა: **„მე მაქვს სახელობითი იარაღი, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტმა გადმომცა. სოჭში საქმე აღიძრა საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის ფაქტზე. საქმე აღიძრა არა ჩემს წინააღმდეგ, არამედ ფაქტზე, რომ ეს ყველაფერი თითქოს ჩემს სახლში ინახებოდა, თუმცა ყველა დოკუმენტი წესრიგში მაქვს. ამჟამად, მე ამ საქმეში ვარ მოწმის სტატუსით".**

**53 წლის ასლაბ ბჟანიას 2010-2014 წლებში „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის" თავმჯდომარის პოსტი ეჭირა. იგი ამ თანამდებობაზე ჯერ კიდევ პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა დანიშნა, უფლებამოსილება პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა გაუგრძელა, თანამდებობიდან კი პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გადააყენა.**

**ასლან ბჟანია ერთ-ერთი იყო, რომელმაც სოხუმში, 2014 წლის მაისის ცნობილი მოვლენების დროს, როცა მოსკოვის ღია მხარდაჭერით, რაულ ხაჯიმბას მომხრეებმა ძალის გამოყენებით „პრეზიდენტის რეზიდენცია" დაიკავეს, ალექსანდრე ანქვაბს ბოლომდე უერთგულა, მისი რუსეთში გაქცევის შემდეგ კი ოპოზიციაში წავიდა და თავისი კანდიდატურა 2014 წლის აგვისტოს „საპრეზიდენტო არჩევნებზე" დააყენა.**

**საბოლოოდ, რაულ ხაჯიმბამ (მიიღო 50600 ხმა) 14 ათასი ხმით აჯობა ასლან ბჟანიას (მიიღო 36 000 ხმა) და გაპრეზიდენტების შემდეგ, ეს უკანასკნელი თანამდებობიდან მოხსნა. ასლან ბჟანია საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, თუმცა, 2015 წლის აპრილში სოხუმში დაბრუნდა და სოციალურ-პოლიტიკური კვლევების ფონდი „აპრა" დააფუძნა. უკვე მაისში კი ოპოზიციურმა „ამცახარამ" იგი ერთ-ერთ ლიდერად დაასახელა.**

აფხაზური ოპოზიცია ასლან ბჟანიას ხელმძღვანელობით მეორე წელია, აგრესიულად უტევს რაულ ხაჯიმბას და 15 დეკემბერს, „სახალხო კრების" გზით, მის გადასაყენებლად ემზადება. აქამდე ყველაზე კრიტიკული სიტუაცია 2016 წლის ივლისში იყო, როცა ოპოზიციამ „შინაგან საქმეთა სამინისტროს" შენობის შტურმით აღება სცადა.

კრემლი ამ დაპირისპირებაში მოქმედი „პრეზიდენტის" მხარეს იჭერს. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა პირველ დეკემბერს თავის განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთში სიტუაცია კონტროლიდან არ უნდა გავიდეს: **„ჩვენ ვხედავთ, რომ აფხაზეთში ხდება რთული შიდაპოლიტიკური მოვლენები. ეს, რა თქმა უნდა, ნორმალური მოვლენაა ნებისმიერი საზოგადოებისა და ქვეყნისთვის, თუმცა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია კონტროლქვეშ იქნება და არ გავა სამართლებრივი ველიდან".**

დღევანდელი მდგომარეობით, რაულ ხაჯიმბას რეჟიმს ოკუპირებულ აფხაზეთში მხარს უჭერენ 1992-93 წლების ომის ვეტერანების ორგანიზაცია „არუაა", პოლიტიკური პარტიები „აპსნი", „აიააირა", „სახალხო ერთიანობის ფორუმი", სოციალ-დემოკრატები, ეკონომიკური განვითარების პარტია და სახალხო პარტია.

ოპოზიციაში, ომის ვეტერანების პარტია „ამცახარასთან" ერთად არიან სახალხო მოძრაობა „აიათარა", რომელსაც ყოფილი „პრემიერი" ლეონიდ ლაკერბაია ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, ოპოზიციურია რესპუბლიკური სახალხო ორგანიზაცია „კიარაზაა", „აბზანჰარა" და პოლიტიკურ პარტია „აინარი". ჯერჯერობით, ნეიტრალური პოზიცია უკავია და დიალოგის მომხრეა პოლიტიკური პარტია „ერთიანი აფხაზეთი", რომელსაც ყოფილი საგარეო მინისტრი სერგეი შამბა უდგას სათავეში.

ოკუპირებულ აფხაზეთში მომავალი „საპარლამენტო არჩევნები" 2017 წელს უნდა გაიმართოს, ხოლო „საპრეზიდენტო" — 2019 წელს. სეპარატისტების მოქმედი „ლიდერი" რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ თანამდებობაზე უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩება.

„Radio Voice of America"(აშშ)



## ტაილანდში სტიქიამ 12 ადამიანი იმსხვერპლა

ხანგრძლივმა სეზონურმა წვიმამ ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში მდინარეების ადიდება გამოიწვია, რის შედეგადაც ათობით დასახლებული რაიონი დაიტბორა. სტიქიამ, ბოლო მონაცემებით, 12 ადამიანი იმსხვერპლა, 3 კი დაკარგულად ითვლება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ 12 პროვინცია სტიქიური უბედურების ზონად გამოაცხადა. დატბორილი რაიონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია განხორციელდა.

## NIKON-ის უძველესი ფოტოკამერა 400 ათას დოლარად გაიყიდა

ავსტრიაში, Nikon-ის უძველესი ფოტოკამერა აუქციონზე 384 ათას ევროდ (406 ათას დოლარად) გაიყიდა. შესაბამისად სწორედ ეს კამერა გახდა ყველაზე ძვირად ღირებული კამერა, რაც კი იაპონური კომპანიის ისტორიაში გაყიდულა.

კამერა 1948 წელსაა გამოშვებული და Nikon-ის მიერ ფოტოკამერების წარმოების ისტორიაში რიგით მეთერთმეტეა.




## საუდის არაბეთში 15 ადამიანს სიკვდილით დასჯიან

ირანის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულ 15 პირს საუდის არაბეთში სიკვდილით დასჯიან. საქმეში სულ 32 პირი ფიგურირებდა. ეჭვმიტანილთაგან ორს ბრალდება მოუხსნეს, დანარჩენებს კი სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ბრალდებულთა უმრავლესობა საუდის არაბეთის შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა.

## პოლანსკის ექსტრადიცია არ განხორციელდება



რომან პოლანსკის შეერთებულ შტატებს არ გადასცემენ. პოლონეთის უზენაესმა სასამართლომ ექსტრადიციაზე უარი თქვა. კინორეჟისორზე შეერთებულ შტატებში ძებნაა გამოცხადებული. მას არასრულწლოვნის გაუპატიურება ედება ბრალად. პოლანსკიმ დანაშაული ჯერ კიდევ 1978 წელს აღიარა, მაგრამ შეერთებული შტატები ფარულად დატოვა. ის ამჟამად პარიზში ცხოვრობს.



## საფრანგეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

მთავრობას შინაგან საქმეთა მინისტრი ბერნარ კაზნიოვი უხელმძღვანელებს. პრემიერის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც მთავრობის მოქმედმა მეთაურმა მანუელ ვალსმა გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ვალსი საკუთარ კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში დააყენებს.

## საბერძნეთი თურქ სამხედროებს ანკარას არ გადასცემს

ათენი ანკარის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. ბერძნულმა სასამართლომ თურქი სამხედროების ექსტრადირებაზე უარი თქვა. საკუთარ გადაწყვეტილებას ბერძნული მხარე იმით ხსნის, რომ თურქეთში სამხედროების ექსტრადიციის შემთხვევაში მათი უფლებები დაცული არ იქნება. თურქმა სამხედრო მოსამსახურეებმა საბერძნეთის საზღვარი 17 ივლისს, შეუმდგარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ გადაკვეთეს და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს. რუსეთმა გაეროში რეზოლუციის პროექტი დაბლოკა.



სირიაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე რუსეთმა, ჩინეთმა და ვენესუელამ გაეროს უშიშროების საბჭოში ალეპოს შესახებ რეზოლუცია დაბლოკეს. ამერიკული და ბრიტანული მხარის ინიციატივა ალეპოში 7-დღიანი ზავის გამოცხადებას ითვალისწინებდა. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა საბჭოს წევრმა სამმა ქვეყანამ მისცა, ანგოლამ კი თავი შეიკავა. რუსეთის წარმომადგენლის ვიტალი ჩურკინის განცხადებით, ალეპოში ზავის გამოცხადება მხოლოდ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.

## პუტინის ოცნება

პუტინი კარიერის წარმატებით დასრულებასა და მოგზაურობაზე ოცნებობს. ამის შესახებ კრემლის ლიდერმა ჩელიაბინსკში ვიზიტისას განაცხადა.

**„ჩემი მოგზაურობა დღეს მხოლოდ საქმიანი შეხვედრებით შემოიფარგლება. რა თქმა უნდა, სხვანაირ მოგზაურობაზე ვოცნებობ. მინდა, დასვენება ბუნებაში, ისტორიული ღირსშესანიშნაობების ნახვა, რისი საშუალებაც ჯერ არ მეძლევა,"** — აღნიშნა პუტინმა.



# ქეთი დოლიძე: ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, ახალ მწვერვალებს იპყრობს

**15 ოქტომბრიდან თბილისში ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც ითვალისწინებდა ერებს შორის კულტურისა და ისტორიის გაცნობას. ამ პროექტს შემეცნებითი ხასიათი აქვს, რაც გამოხატულია თითოეულ სპექტაკლში. „საჩუქარი“ წელს მეთხუთმეტე იუბილეს ზეიმობდა. ფესტივალი წელს თემურ გოცაძის პერსონალური გამოფენით გაიხსნა, რის შემდეგაც წარმოდგენა „წვიმა“ წარსდგა. სპექტაკლის დასრულებისთანავე გაიმართა მიხეილ თუმანიშვილის პრემიით დაჯილდოება — „ხელოვნებაში სრულყოფილებისათვის“. წელს ამ ჯილდოს ოთხი ლაურეატი ჰყავდა: მხატვარი თემურ გოცაძე, დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი, შოტლანდიელი თეატრის კრიტიკოსი ჯოის მაკმილანი, ფლამენკოს ვარსკვლავი ესპანეთიდან — ევა იერბაბუენა.**



### მიხეილ თუმანიშვილის პრემიის ლაურეატები



**თემურ გოცაძე**



**ლაშა თაბუკაშვილი**



**ჯოის მაკმილანი**



**ევა იერბაბუენა**

— მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის მერიის კულტურული ცენტრის და თუმანიშვილის სახელობის თეატრის თაოსნობით ხორციელდება. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ გავესაუბრეთ ფესტივალის დამფუძნებელს ქალბატონ **ქეთი დოლიძეს**, გადატვირთული რეჟიმის მიუხედავად, ის მაინც დათანხმდა ჩვენთან ინტერვიუს.

**— ახლანდელი ფესტივალები რით გამოირჩევა წინა ფესტივალებისგან?**

— მე ასე მგონია, რომ ყოველ წელს ფესტივალის ხარისხი სულ უფრო და უფრო მაღლდება. ჩვენ უარი ვთქვით უკვე შემთხვევითი სპექტაკლების ჩამოტანაზე იმიტომ, რომ ეს უნდა იყოს უმაღლესი დონის ხელოვნება, აპრობირებული, რომელსაც შეუძლია ახალი სიტყვა თქვას და რაღაც ახალი დაანახვოს მაყურებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი თეატრები აქტიურად მუშაობენ, მე ასე მგონია, რომ თანამედროვე თეატრის ტენდენციები მაინც არ არის ჩვენთან ისე გაზიარებული, როგორც საერთოდ არის მსოფლიოში. ვფიქრობ, რაც უფრო მეტს ვნახავთ უცხოურ საინტერესო სპექტაკლებს, მით უფრო განვვითარდებით. „საჩუქარი“ არ არის მხოლოდ თეატრალური ფესტივალი, ეს ხელოვნების ფესტივალია.

**— როგორ მიიღო მაყურებელმა იტალიური პროგრამა, რომელიც ასე წარმატებული გამოდგა?**

— ვფიქრობ, ძალიან კარგად მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ იყო კონტრვერსიული. მეორე იტალიური სპექტაკლი „იტალია 10-იან წლებში“ იყო ჩემთვის ძალიან საინტერესო, ტკივილით სავსე, როგორც ყველა კარგი ნაწარმოები. ის თითქოს ჩვენზეა. ფაქტობრივად, ეს არის ერებს შორის კულტურისა და ისტორიის გაცვლა. სწორედ ამას ითვალისწინებს „საჩუქარი“. მე მგონია, რომ ჩვენ საწადელს მივაღწიეთ. უბრალოდ, სათქმელი ის მაქვს, რომ, სამწუხაროდ, ამ ფესტივალს, ჯერ კიდევ არა აქვს თავისი ნიშა, ადგილი. ის არ არსებობს ბუნებაში, ის არსებობს როგორც თუმანიშვილის თეატრის პროექტი. არ ვიცი, რატომ დავისაჯეთ ასე ძალიან, მაპატიონ სხვა თეატრის ფესტივალებმა. იქაც არის ძალიან საინტერესო პროგრამები, მაგრამ ჩვენ ნამდვილად ვართ პიონერები და მაყურებელს ვთავაზობთ საინტერესო პროგრამებს.

**— რამდენად ხშირად ტარდება ქართული სპექტაკლები?**

— ჩვენ ქართულ პროგრამებს მაშინ ვრთავთ, როცა სურვილი აქვთ. ცალკე ქართული პროგრამა არა გვაქვს. თუმცა ძალიან მიხარია, რომ სულ უფრო და უფრო მეტ თეატრს უნდა, მიიღოს მონაწილეობა ჩვენს ფესტივალებში.

**— მომავალ პროექტზე უნდა გკითხოთ, რა ელოდება მაყურებელს?**

— ძალიან საინტერესო პროგრამა იქნება. ეს იქნება მოძრაობის და ცეკვის დასი იაპონიიდან, პეკინიდან ჩამოტანილი „რიჩარდ მესამე“, რაც ფრიად საყურადღებოა; საშა ვალცის გამაოგნებელი წარმოდგენა „სარკე“. ჩვენ გვექნება ორი პრემიერა უცხოელი რეჟისორის დადგმული. ერთი მიხაილ მარმარინოსის მიერ დადგმული „სტალინი“, ფესტივალი კი გაიხსნება უკრაინელი რეჟისორის მიერ დადგმული სპექტაკლით.

**ესაუბრა**
**ანა გაგულიძე**



## საახალწლო გალა-კონცერტისთვის მომღერლები ტენდერით არ შეირჩევა

თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის ია მაქაცარიას თქმით, ტენდერი საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოცხადდა მხოლოდ ტექნიკურ ნაწილში.

**„ტენდერი გამოცხადდა ტექნიკურ ნაწილში საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, აქ ტენდერის გამოცხადება არ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, რადგან მომღერლის ტენდერით შერჩევა არც თუ ისე სახარბიელოა ფასიდან გამომდინარე“, —** განაცხადა ია მაქაცარიამ.

მისივე თქმით, დედაქალაქში საახალწლო ღონისძიებები 25 დეკემბრიდან დაიწყება და ორი ლოკაცია გაიხსნება, ეს იქნება დედაენის ბაღი და განახლებული აღმაშენებლის გამზირი.

**„სიახლე არის ის, რომ არც ერთი ტერიტორია არ საჭიროებს გადაკეტვას და მოსახლეობას არ შეექმნება შეფერხება. 31 დეკემბრიდან 2 იანვრის ჩათვლით არაერთი ღონისძიება გაიმართება, არაერთი კულტურული თუ სხვა ტიპის კონცერტი, არტ სივრცე და საახალწლო ბაზრობა მოეწყობა. გალა-კონცერტი, 31 დეკემბრის ღამეს გაიმართება, ეს იქნება სრულიად ახალი სიმღერები, რომელსაც შექმნიან ქართველი კომპოზიტორები. ეს კომპოზიტორები არჩევენ არა მხოლოდ მომღერლებს, არამედ არანჟირებისა და ტექსტის ავტორებს“, —** განაცხადა ია მაქაცარიამ.

მისი თქმით, თბილისში საახალწლო ღონისძიებებისთვის მილიონ 487 ათასი ლარი დაიხარჯება, ხოლო საახალწლო გალა-კონცერტისთვის, რომელიც „ვარდების მოედანზე“ გაიმართება, დედაქალაქის ბიუჯეტიდან 227 ათასი ლარი გამოიყოფა.

⊙ გამოფენა

# მდიდრული სიდიადის მეორედ მოსვლა

**ოქრო-ვერცხლით, ასევე პატიოსანი თვლებით — მარგალიტებით, იაგუნდებით, ლალებით, ნახევრადძვირფასი და კეთილშობილი ქვებით გაწყობილი ნატიფი ხელოვნების ნიმუშების — სამეფო და სადედოფლო კოსტიუმებისა და მთავართა სამოსელის პირველად გამოფენილი უნიკალური კოლექციის ხილვა შეუძლიათ ამ დღეებში საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიის მნახველებს.**

ხელოვნების სასახლეში ქართული ეროვნული სამოსის გამოფენის მოწყობა პროფესიონალი რესტავრატორების ექვსთვიანი დაუღალავი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

უნიკალური სარესტავრაციო სამუშაოების პროცესში აღდგა და გამაგრდა ხუთი განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის მქონე ეროვნული კოსტიუმის ქსოვილი, ხელახლა დამზადდა დაკარგული ოქროსა და ვერცხლის დეტალები. საბჭოურ პერიოდში დამაგრებული ბუტაფორიების ნაცვლად სამოსელზე კვლავ დააბრუნეს პატიოსანი თვლები და კეთილშობილი ქვები. ჩვენი სასიქადულო თეატრალური მხატვრის სოლიკო ვირსალაძის მიერ ვარძიის ფრესკიდან აღდგენილ თამარ მეფის კაბაზე დამაგრდა ოთხი ათასზე მეტი წვრილი და მსხვილი მარგალიტი, 150 ვერცხლისა და 100 მოოქრული ბალთა.





განსაკუთრებითაა აღსანიშნავი დედოფალ თეკლეს კოსტუმი კინოფილმ „გიორგი სააკაძიდან“: ეს უნიკალური ექსპონატი მე-19 საუკუნეში შეიკერა და ერთ-ერთ ქართველი სათავადო გვარის საკუთრება იყო, თუმცა კი განადგურების პირას მისული. რესტავრატორებმა ქსოვილის საფუძველი გაამაგრეს და ზედ სამ ათასზე მეტი დაკარგული, მაგრამ აღდგენილი დეტალი დაამაგრეს.

ლაბორატორიის საგამოფენო სივრცეში ასევე წარმოდგენილია მარგალიტებითა და ოქრომკედით გაწყობილი მეფე ერეკლეს ოჯახისა და მისი გარემოცვის წევრთა ძვირფასი სამოსი. გაფორმებისას მე-18-19 საუკუნეების ისტორიული ქსოვილის დეტალები და ორნამენტი გამოიყენეს, რამაც მას განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება შესძინა.

ისტორიული კოსტიუმების გამოფენასთან ერთად დამთვალიერებელს საშუალება ექნება მე-19 საუკუნის გამოყენებითი ხელოვნების უნიკალური ნიმუში, ეგრეთ წოდებული „თეთრი ბუხარიც“ იხილოს, რომელიც, კულტურის მინისტრის მიხეილ გიორგაძის ინიციატივით, სასახლის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში გადაიტანეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტის განსახორციელებლად საგამოფენო დარბაზი საგანგებოდ მომზადდა და იქ თანამედროვე განათება, საგანგებო ვიტრინები და კლიმატის კონტროლის აპარატურა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებითა და მხარდაჭერით განხორციელდა, მისი





მთლიანი დაფინანსება კი დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა უზრუნველყო.

**დალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ძალოსნობა

# ორ დღეში ცხრა ჯილდო


დაჯილდოების მომენტი

**ეილათში (ისრაელი) ახალგაზრდა და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს 20-წლამდელებში გიორგი დოკვაძემ აკვრაში (124 კგ) ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა და 62 კილოში გოდერძი ბერდელაძემ ატაცსა (121 კგ) და ორჭიდში (263 კგ) მესამე ადგილები რომ დაიკავა, ამის თაობაზე უკვე ვწერდით.**

ქართველებისთვის ჩემპიონატის მეორე დღე უფრო უხვმოსავლიანი აღმოჩნდა: 23-წლამდელთა 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში ორი ქართველი ცდიდა ძალებს: **შოთა მიშველიძემ** 129 კილოგრამი აიტაცა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი დაიმსახურა, **რამინ შამილიშვილს** 124 კილოთი ბრინჯაოს მედალი ერგო. ქართველმა ძალოსნებმა, სამწუხაროდ, აკვრაში ვერ გამოავლინეს საკუთარი შესაძლებლობები. სამაგიეროდ, ორჭიდის ჯამში რამინმა და შოთამ 269-269 კილოს მოუყარეს თავი. პირადი წონით შამილიშვილი თანაგუნდელზე 380 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ვერცხლის მედალი მას ერგო, მიშველიძე ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა.

**62 კგ**

1.იონუტ ილიე (რუმინეთი) – 284 (126+158)

**2.რამინ შამილიშვილი** (საქართველო) – 269 (124+145)

**3.შოთა მიშველიძე** (საქართველო) – 269 (129+140).

20-წლამდელთა 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეტოქეებს გოგა ჩხეიძე დაუპირისპირდა. მან 176 კილოგრამი აკრა და პირველი ადგილი დაიკავა. თურქი ჩელილ ერდოგდუ ჩვენებურს კილოგრამით ჩამორჩა. ატაცში ქართველ ძალოსანს 134-მა კილომ მხოლოდ მე-4 ადგილი მოუტანა, ორჭიდში კი ბრინჯაოს მედალი ხვდა.

69 კგ

1. ჩელილ ერდოგდუ (თურქეთი) – 310 (141+169)

2.მირკო ზანი (იტალია) – 309 (142+167)

3.**გოგა ჩხეიძე** (საქართველო) – 304 (134+170)

**ლაშა დიდია**

ფარიკაობა

# დამსახურებული მწვრთნელის ხსოვნისა

**საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის 1997 წელს და უფრო გვიან დაბადებული 110 მოფარიკავე მონაწილეობდა ქუთაისში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – გალაქტიონ ჩიქოვანის ტრადიციულ XIV საერთაშორისო მემორიალში. ხმალსა და რაპირაში უკეთ მასპინძლებმა იასპარეზეს, დაშნაში კი მედლების უმეტესობა სტუმრებს ხვდათ.**

**კვარცხლბეკი**

ხმალი

**გოგონები.** 1. ანა აფრასიძე, 2. ელენე ნანობაშვილი, 3. მარიამ აფციაური (სამივე – თბილისი), თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი); **ვაჟები.** 1. ნიკა ჭეიშვილი, 2. ვახტანგ არჩვაძე (ორივე – თბილისი), 3. დავით კვერნაძე (ქუთაისი), ელვინ რზაზადე (აზერბაიჯანი).

რაპირა

**გოგონები.** 1. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 2. ნანუკა ლეჟავა, 3. მარიამ ტუღუში (ორივე – თბილისი), არპინე ატოიანი (სომხეთი); **ვაჟები.** 1. ლაშა გალუაშვილი (თბილისი), 2. არმენ დალაქიანი (სომხეთი), 3. გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი), გიორგი კეჟერაძე (აჭარა).

დაშნა

**გოგონები.** 1. ემა პოლოსიანი (სომხეთი), 2. ქრისტინე მიქაძე, 3. ანა ბიბიჩაძე, თინათინ ნუცუბიძე (ყველა – ქუთაისი); **ვაჟები.** 1. აიკ ბარსაგიანი, 2. ედუარდ ოვიკიანი, 3. არმენ გრიგორიანი (ყველა – სომხეთი), ხალილ ალიევი (აზერბაიჯანი).

**გივი გაგუა**


ქრისტინე მიქაძე (მარჯვნივ) და ემა პოლოსოვა ფინალური პაექრობის შემდეგ.

უნიფაიტი

# ერთი „ოქრო“ და ორი „ვერცხლი“


მამუკა მამადაშვილი

**სპორტის კომპლექსური სახეობაა უნიფაიტი, ანუ უნივერსალური ორთაბრძოლა, რომელიც ასაკის გათვალისწინებით 7-10 ეტაპისგან შედგება და გულისხმობს წინააღმდეგობების (ლაბირინთების, ღობეების, ბადეების, კიბეების, წინაღობების) გადალახვას, დანის ტყორცნას, პნევმატური პისტოლეტიდან ან შაშხანიდან სროლასა და ხელჩართულ ორთაბრძოლას (კიმონოებითა და ჩაფხუტებით) რინგზე ან ტატამზე, სადაც დასაშვებია მკაცრ წესებს დაქვემდებარებული დარტყმები, გდებები, მოხრჩობა და მტკივნეული ილეთები. ამ სახეობას 1996 წელს ძიუდოში რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სერგეი ნოვიკოვმა ჩაუყარა საფუძველი. მსოფლიოს ჩემპიონატები 2000, ხოლო ევროპის პირველობები 2004 წლიდან ეწყობა.**

მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატს წლეულს მოსკოვმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. მათ შორის სამი ქართველი იყო. მძიმე წონაში ჩემპიონობა მოიპოვა **იოსებ იარაჯულმა,** 80 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი **გიორგი კანკავამ** დაიკავა. 75 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ასევე, ფინალური ორთაბრძოლა დათმო მასპინძელ ბოკირ ნურალიევთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა **მამუკა მამადაშვილი.**

**– ფინალამდე ყაზახ და თურქ მეტოქეებს მოვუგე, – გვითხრა მამუკამ. – გადამწყვეტი პაექრობისას ნურალიევს წინაღობების დაძლევაში გავუსწარი, რინგზე კი ქულით მაჯობა და ანგარიში გაათანაბრა. შეხვედრა ფრედ დასრულდა. რადგანაც ბოლო ქულა რუსეთელმა აიღო, ჩემპიონობაც მას ერგო.**

მამუკა მამადაშვილი 26 წლისაა. ჭიდაობაში ვარჯიში 10 წლისამ დაიწყო ზაზა მახათაძესთან და დღემდე მასთან იმაღლებს ოსტატობას. 2008 წელს ქართულ ჭიდაობაში გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ორი წლის წინათ სამბოში მოიგო საქართველოს უნივერსიადა; სხვა ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორიცაა. ახლა ქართველი უნიფაიტელები – მამუკა მამადაშვილი, იოსებ იარაჯული და გიორგი კანკავა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. შესაძლოა, მათ რიგებს სხვებიც შეემატონ.

**ვაჟა დანელია**

გოლფი

# ჟურნალისტთა თასზე



**„ჩვენი სურვილია, გოლფი, როგორც ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი სპორტის სახეობა, საქართველოში მასობრივად დავნერგოთ, – გვითხრა ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ბესარიონ თედიაშვილმა. – წლეულს თბილისობაზე გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ისრაელის, ეგვიპტის, თურქეთის, გერმანიის, ლატვიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც გადავწყვიტეთ, 2017 წელს სახელმწიფოს მხარდაჭერითა და ჩვენი მეგობარი ბიზნესმენების, უპირველესად, „ბეკაკაპიტალისა“ და ჯგუფ „აგორას“ თანადგომით თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში გოლფის ოთხი მოედანი მოვაწყოთ, აქტიურად ჩავრთოთ სპორტულ ღონისძიებებში სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რომ ტალანტები გამოვავლინოთ. ამ საქმეში პრესისა და ტელევიზიის მხარდაჭერის იმედი გვაქვს“.**

მასმედიის წარმომადგენელთა გოლფში უკეთ გათვითცნობიერების მიზნით ფედერაციამ Hotels & Preference Hualing თბილისი-ში საინტერესო ტურნირი მოაწყო ჟურნალისტთა თასზე. 25 ქალ-ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ნაკლები საჯარიმო ქულით (73) ქალებში **თამთა თურგაშვილმა** („მუზიკბოქსი“) გაიმარჯვა. 85 ქულით მეორე იყო პალიტრანიუსელი **რუსა შელია,** ხოლო 95 ქულით მესამე ადგილი **მარიამ მამულაშვილმა** („თბილისელები“) დაიკავა. ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ვახტანგ დარასელია** („მუზიკბოქსი“, 67), 2. **ზურაბ დარჯანია** („პალიტრანიუსი“, 68), 3. **ლაშა ჯეირანაშვილი** („რუსთავი-2“, 95). გამარჯვებულები და პრიზიორები თასებით, მედლებითა და ძვირად ღირებული საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: მარცხნიდან – მარიამ მამულაშვილი, თამთა თურგაშვილი, ბესარიონ თედიაშვილი, რუსა შელია, ლაშა ჯეირანაშვილი, ვახტანგ დარასელია, ზურაბ დარჯანია ასპარეზობისას.**

**ავტორის ფოტო**

კალათბურთი

# ზაზას გუნდი უტევს და იგებს



უტევს ზაზა ფაჩულია

**ქართველი კალათბურთელის – ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ ნბა-ს მიმდინარე სეზონის მომდევნო ტურში „ინდიანა პეიზერსს“ უმასპინძლა. ოკლენდელებმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრეს, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს – 142:106.** მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა მეოთხე პერიოდში ასპარეზი სათადარიგოებს დაუთმო. მატჩის გმირი გახდა კლეი ტომპსონი, რომელმაც შეხვედრის 29 წუთში თავისიანებს 60 ქულა შესძინა, რაც პირადი და მიმდინარე სეზონის რეკორდია. გუნდის წარმატებაში დიდ წვლილი შეიტანა ზაზა ფაჩულიამაც. 18 წუთის განმავლობაში ოკლენდელთა ქართველი ცენტრის ანგარიშზეა 5 პასი, ამდენივე 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 3 ქულა და 1 დაფარება. ზაზამ 3-დან ერთი ორქულიანი ჩააგდო, თანაც ისე ეფექტურად, რომ მაყურებლებში და მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე ხმაურიანი ოვაცია გამოიწვია.

21 ტურის შემდეგ 18 მოგებითა და 3 წაგებით „გოლდენ სტეიტი“ ლიგის ერთპიროვნული ლიდერია და მას 2 მოგებით თანაშტატელი „კლიპერსი“ ჩამორჩება. 8 დეკემბერს ლოს ანჯელესში სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

**ნანა წიწილაშვილი**

წყალბურთი

# ლიდერებად ყალიბდებიან

**სამიოდე თვეა, რაც საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრების წევრებმა უცხოურ კლუბებს მიაშურეს და, დროის ამ მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ლამის თავიანთი გუნდების ლიდერებად იქცნენ – მატჩებს, ფაქტობრივად, უგოლოდ არ ტოვებენ.** ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი **ანდრია ბითაძე** იტალიის ჩემპიონატის სერია A-ში თამაშობს – რომის „ვის ნოვას“ სპორტულ ღირსებას იცავს. მისმა გუნდმა მე-8 ტურის შეხვედრა სტუმრად გამართა „ლაციოსთან“. ორთაბრძოლის პირველსავე წუთზე ანგარიში ბითაძემ გახსნა. მართალია, მეტი გოლი არ გაუტანია, მაგრამ მსაჯებს მეტოქის წყალბურთელები ხუთჯერ გააძევებინა აუზიდან, რითაც საკუთარ გუნდს რიცხობრივი უპირატესობა მოუტანა. რომაელებმა ამით ისარგებლეს და 10:5 (3:0, 1:1, 3:3, 3:1) გაიმარჯვეს. სერია A-ში საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის ნატურალიზებული ქართველი წყალბურთელის – **მარკო ელაჩას** გუნდი „სპორტმენეჯმენტი“, რომელიც რვა ტურის შემდეგ 19 ქულით გათამაშების ცხრილის მე-3 საფეხურზეა. წინა ტურში მან სტუმრად „სავონას“ სძლია – 14:6 (3:3, 3:1, 7:0, 1:2). ელაჩა ორი გოლით გამოირჩა..



უტევს ანდრია ბითაძე

**რევაზ იმნაიშვილი** სლოვაკეთის ჩემპიონატში „ნოვაკის“ შემადგენლობაში თამაშობს. ბოლო ტურში ქვეყნის ჩემპიონებმა და თასის მფლობელებმა ბრატისლავის „სლავიას“ აჯობეს 8:5 (2:1, 4:1, 2:1, 0:2). ქართველმა წყალბურთელმა ორი გოლი გაიტანა. ნოვაკელები რვა ტურის შემდეგ 16 ქულით ლიდერობენ.

**თამაზ პატარიძე**

სიახლეები ავტომფლობელთათვის

# ავტომობილებზე ქონების გადასახადი სავალდებულო ხდება

**გასულ კვირაში უკვე ვისაუბრეთ ნაბიჯებზე, რომლებიც მთავრობის დედოლარიზაციისა თუ ლარიზაციის გეგმაში შედის. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია გადასახადების გაზრდას, რაც, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს დარჩება საზოგადოების მსჯელობის საგნად, 2017 წლიდან კი უშუალოდ დაარტყამს ჯიბეზე მოსახლეობის დიდ ნაწილს, მით უმეტეს, რომ ყოველდღიურად ახალ-ახალი დეტალები ხდება ცნობილი ამ ცვლილებების შესახებ.**



მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან ავტომობილებზე აქციზის გადასახადი იზრდება. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე მოცემულია კონკრეტული სქემა, თუ რამდენით გაიზრდება აქციზი სხვადასხვა წელს გამოშვებულ ავტომობილებზე.

ეს სქემა საკმაოდ უცნაურად არის აგებული: ერთი მხრივ, ერთწლიანი მანქანების განბაჟება, დაახლოებით, 50 %-ით იზრდება, მეორე მხრივ კი, მაგალითად, 4 წლის მანქანის განბაჟება იგივე რჩება, რაც აქამდე იყო, 5 წლის მანქანის, დღევანდელ მაჩვენებელთან შედარებით, მცირდება კიდეც 0,1 ერთეულით, შემდეგ უკვე აქციზის გადასახადი უფრო და უფრო იზრდება და თითქმის ყოველ დამატებით წელზე ემატება ერთეული, 10-წლიანი მანქანის აქციზი ორმაგდება, 11-წლიანი 2,4-ჯერ იზრდება, 12-წლიანის თითქმის სამმაგდება და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ, 2017 წლის ბიუჯეტის მიხედვით, მარჯვენასაჭიან მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის განაკვეთი სტანდარტული განაკვეთის სამმაგი ოდენობით განისაზღვრება. ამასთან, პროექტში აღნიშნულია, რომ საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება მე-100 ნაწილი, რომლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში მსუბუქი ავტომობილები დაიბეგრება აქციზის განაკვეთების ცვლილებამდე არსებული განაკვეთით, თუ შეძენილი ავტომობილის ტრანსპორტირება დაწყებულია არაუგვიანეს 2016 წლის 1 დეკემბრისა, ანუ ზრდა ამ ვადამდე შეძენილ მანქანებს არ შეეხება.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც მოგვიანებით გახდა ცნობილი, მანქანებზე ქონების გადასახადის შემოღებაა.

მთავრობის მიერ დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, 2017 წლიდან ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა სავალდებულო ხდება. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, ცვლილებები საგადასახადო კოდექსის 201-ე, 202-ე და 205-ე მუხლებში შევა და 40 ათას ლარზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე ოჯახებს შეეხება. როგორც პროექტშია აღნიშნული, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი სხვადასხვა დროს გამოშვებულ ავტომობილებზე განსხვავებული იქნება.

**„კერძოდ, ფიზიკური პირი, რომლის ოჯახის წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია, ვალდებული ხდება გადაიხადოს ქონების გადასახადი მის საკუთრებაში მყოფ მსუბუქ ავტომობილზე. ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია ავტომობილის ასაკის მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით, ლარებში“...** — ნათქვამია საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილების შესახებ კანონპროექტში.

როგორც პროექტშია აღნიშნული, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია ავტომობილის ასაკის მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: 1 წლის ავტომობილზე გადასახადი იქნება 500 ლარი, 1-დან 5 წლამდე — 240 ლარი, 5-დან 10 წლამდე — 120 ლარი, 10 წლის ზემოთ კი — 60 ლარი.

**ირინა გურული**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

# ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2013 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვით ყოველი წლის 5 დეკემბერი გამოცხადდა ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღედ.

2016 წლის 05 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა ნიადაგის დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნები, აკადემიის წევრები, აკადემიის აპარატი და მოწვეული სტუმრები.

კონფერენცია გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. გივი ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ნიადაგის ზოგადბიოლოგიურ ფუნქციებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ფუნქციას, როგორც სიცოცხლის არსებობის უნიკალურ არეს; როგორც დამაკავშირებელ რგოლს ნივთიერებათა გეოლოგიურ და ბიოლოგიურ წრებრუნვებს შორის მიწისზედა ბიოგეოცენოზებში და, რა თქმა უნდა, ნიადაგის ბიოლოგიურ პროდუქტიულობას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების და სასურსათო უზრუნველყოფის საფუძველია.

ძირითადი მოხსენება თემაზე „პლანეტის ჩუმი კრიზისი — სასურსათო კრიზისის საფრთხე“ გააკეთა აკადემიის აგრონომიული სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა. საინტერესო მოხსენებებით წარდგნენ კონფერენციის მონაწილეების წინაშე აკადემიკოსები რ. მახარობლიძე და თ. ყურაშვილი, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები გ. გაგოშიძე და ზ. ბუკია. გაიმართა საინტერესო დისკუსია და აზრთა გაზიარება კონფერენციის მონაწილეთა შორის.

კონფერენციის დასასრულ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ ნიადგმცოდნეობის დარგში მიღწეული სამეცნიერო წარმატებებისათვის საპატიო სიგელები გადასცა გამოჩენილ მეცნიერებს, აკადემიკოსებს გ. მარგველაშვილს, ჯ. ონიანს, ვ. ცანავას, ზ. ჩანქსელიანს, თ. ურუშაძეს და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფს.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრესსამსახური**

## სანთელი

უახლოესი მეგობრები გივი ნაცვლიშვილი, თემურ მოდებაძე, ვაჟა ორბელაძე ოჯახებით იუწყებიან

**ილო ფალავანდიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 7 XII, პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) ქ. №45.

გამოსვენება 8 XII, 14 სთ. ასათიანის ქუჩაზე მდებარე ეკლესიიდან.

# აჭარაში მომსახურების ხარისხი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდა

**აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის კვლევამ, რომელიც რეგიონში „იდუმალი სტუმრის“ მეთოდით განხორციელდა, სერვისში დადებითი ტენდენციები გამოავლინა.**



აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, წინა წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა რეგიონში საუკეთესო და 11%-ით კარგი სერვისის მქონე სასტუმროების რაოდენობა. რაც შეეხება დაბალი სერვისის მქონე სასტუმროების რიცხვს, ის წინა წელთან შედარებით 14%-ითაა შემცირებული. ზოგადად, მომსახურების ხარისხი სასტუმროებში 7%-ით, მარკეტინგი 13%-ით, ხოლო კონფლიქტური სიტუაციების მართვა 14%-ით არის გაუმჯობესებული.

მათივე ინფორმაციით, დადებითი ტენდენციები ფიქსირდება კვების ობიექტებშიც. 5%-ითაა გაზრდილი აჭარაში საუკეთესო და 17%-ით კარგი სერვისის მქონე კვების ობიექტების რაოდენობა. რაც შეეხება დაბალი სერვისის მქონე კვების ობიექტებს, მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 2%-ითაა შემცირებული. კონფლიქტური სიტუაციების მართვის მენეჯმენტი ზოგადად, რესტორნებსა და კაფეებში 13-ითაა გაუმჯობესებული. რასაც ვერ ვიტყვით პერსონალის მომსახურების კულტურაზე, რომელიც წინა წელთან შედარებით 1 % -თაა შემცირებული.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს, „იდუმალი სტუმრის“ მეთოდით სერვისის ხარისხი აჭარაში 150 რესტორანსა და სასტუმროში დადგინდა. კვლევის შედეგად 90 სასტუმროს პერსონალი შემოწმდა, თუ როგორ ღებულობენ სტუმრებს სასტუმროს მიმღებში, როგორ უმკლავდებიან კონფლიქტურ სიტუაციებს, რამდენად ხარისხიანად ემსახურებიან, როგორი აქვთ მარკეტინგი, ასევე როგორია სასტუმროს ვიზუალური მხარე, რამდენად სუფრთა და აღჭურვილია ნომერი. აჭარაში არსებულ 60 კვების ობიექტში კი მომსახურების ხარისხი შემდეგი კრიტერიუმებით განისაზღვრა: რესტორნის ატმოსფერო და ჰიგიენა, პერსონალის მომსახურების კულტურა, კერძების ხარისხი, კონფლიქტური სიტუაციების მართვა, დაჯავშნის სისტემა და მარკეტინგი.

„იდუმალი სტუმრის“ მეთოდოლოგია მომსახურების სფეროში ხარისხის შეფასების ყველაზე ზუსტ ბარომეტრად ითვლება.

# ძლიერმა თოვამ აჭარაში პრობლემები შექმნა

**ხულოსა და შუახევში მოსულმა ნალექმა 80 სანტიმეტრს მიაღწია. მუნიციპალიტეტების ცენტრამდე ავტომანქანების მოძრაობა არ შეწყვეტილა. სოფლების მიმართულებით გადაადგილება მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომანქანებითა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით არის შესაძლებელი. დაზიანებულია ელქეტროსადენები, ელექტროენერგიის მიწოდება შეწყვეტილი აქვს 15-მდე სოფელს.უშუქობის გამო, რამდენიმე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერდა.**

# საქართველოში არამდგრადი ამინდი შენარჩუნდება



**ითოვებს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ჰაერის ტემპერატურა დღის განმავლობაში 0-დან 5 გრადუსამდე იმერყევებს. უმეტესად უნალექო, თუმცა ცივ ამინდს პროგნოზირებენ სინოპტიკოსები აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 3 გრადუსი იქნება. რაც შეეხება დედაქალაქს, თბილისში ჰაერის ტემპერატურა 0-დან 2 გრადუსამდე დაფიქსირდება. სინოპტიკოსები 8 დეკემბრიდან კვლავ არამდგრად ამინდს ვარაუდობენ.**

## განცხადება

2016 წლის 15 დეკემბერს 12 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარი“-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2016 წლის მოგების განაწილების დამტკიცება
/მომხს. ნ. გუმბერიძე/

2. სხვადასხვა.

ს.ს. „ოპიზარი“-ს აქციონერთა რეგისტრაციის სააღრიცხვო დღეა 2016 წლის 1 ნოემბერი.

### მიშარასტული ამბები

# „კუკურუზნიკივით“ აეროპორტში აპირებს ცხოვრებას

ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ თუ უკრაინის მოქალაქეობას ჩამოართმევენ, საუკეთეს შემთხვევაში, რომელიმე საერთაშორისო აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იცხოვრებს. **„ეს იქნება სრულიად აბსურდული სიტუაცია“,** — აღნიშნა სააკაშვილმა „დოიჩე ველესთვის“ მიცემულ ინტერვიუში.




# მიშას უკრაინული ამბიციები

საქართველოს ექსპრეზიდენტი, ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ უკრაინაში მისი ამბიციები პრემიერისა და პრეზიდენტის პოსტზე მაღალია.

**„როდესაც პრეზიდენტმა პოროშენკომ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა შემომთავაზა, მე მას ვუთხარი, რომ ჩემი ამბიციები პრემიერის პოსტზე გაცილებით მაღალია. მან მკითხა - შენ გინდა პრეზიდენტობა? მე ვუთხარი, რომ ამბიციები უფრო მაღალია. მე მინდა პოლიტიკური თამაშის წესების მთლიანად შეცვლა, პოლიტიკური კლასის სრულად შეცვლა. ეს არის უმაღლესი ამბიცია. მე მინდა ვიყო ამ პროცესის ნაწილი, რომ უკრაინამ მიიღოს ახალი პოლიტიკური კლასი,“** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, თუ უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნება, არსებობს რისკი, რომ ქვეყანა ქაოსში ჩაიძიროს.

### ანეკდოტები

**პოლიციის ოქმიდან:**

**„მოქალაქე პეტრე ჩ-ძე საპატრულო პოლიციის განწესმა დააკავა იმ მიზეზით, რომ ნასვამ მდგომარეობაში იგი დიდი ხნის მანძილზე მისდევდა მოქალაქე მირანდა პ-შვილს და უცენზუროდ გამოთქვამდა აღფრთოვანებას მისი სილამაზის გამო“.**

* * *

**— მამიკო, ჩემი კლასის დამრიგებელს შენ ძალიან მოეწონე, მაგრამ უფრო მაგრად, სკოლის დირექტორს და ახლა ორივეს შენი ნახვა კიდევ ერთხელ უნდათ! — შეპარვით ეუბნება სკოლიდან შინ მოსული ვაჟიშვილი.**

* * *

**— ბიჭო, ავთანდილა, თუ იცი, აფრიკაში ნიანგებს რაფერ იჭერენ?**

**— რაფერ, ნეტაი?**

**— იმფერ, რომე, იღებენ შუშის ქილას, შიგნით ჯუჯა პიგმეის სვამენ — ხომ გაგიგონია, ასეთი პატარა ტყის კაცუნები რომაა აფრიკაში? ჰოდა, მშიერი ნიანგი რო ხედავს ამას, ქე ყლაპავს ქილას და მერე აღარაფერი შეუძლია.**

**— რეიზა აღარ შეუძლია?**

**— იმიზა, რომე მუცელი ქე ებერება, თათებით მიწამდე ველარ წვდება, ქე ფართხალობს, მარა მდინარეში უკან ველარ ჩადის.**

**— ეგ ჰო, მარა ი პიგმეი რას შობა ამ დროს?**

**— რაის პიგმეი, ბოშო? პიგმეი — ფაფუ! ნიანგს რომ დეიჭერს კაცი, პიგმეი რაღა ჭირად უნდებლარია?**



* * *

**ანტიკვარულ მაღაზიაში:**

**— აი, ნახეთ, ქალბატონო, შესანიშნავი პორტრეტებია! აი, თუნდაც ეს, მეფისდროინდელი თავადი ცოლ-ქმარი!**

**— ჰო, მართლაც კარგებია, მაგრამ, ვინ არიან ისინი?**

**— წინაპრები, ქალბატონო, წინაპრები.**

**— ვისი წინაპრები?**

**— თუ შეიძენთ, თქვენები გახდებიან, თქვენები!**

### განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

# ვერაგი ალერგია

**ბევრ ადამიანს ზოგიერთი ცხოველი არ უყვარს, ზოგს კი მათზე ელემენტარულად ალერგია აქვს, რაც მჭიდრო კონტაქტს, სიმპათიის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელს ხდის.**



ალერგიის სახეობებს შორის ხშირია კატებზე ალერგია, რომელიც, მართალია, არც ყველაზე მეტადაა გავრცელებული და არც ყველაზე მძიმედ მიმდინარეობს, თუმცა კი ყველაზე დრამატული. იმის გამო, რომ კატებზე ალერგიის საწინააღმდეგოდ თერაპიის ჩასატარებლად საჭირო ალერგენები არ არსებობს (რაც იმის გამოა, რომ დღესდღეობითაც უცნობია, თუ რა არის მისი გამომწვევი — ცხოველის ბეწვი, სუნი, ნერწყვი თუ შარდი), მკურნალობის ერთადერთი მეთოდია კატის ყოლაზე უარის თქმა. მაგრამ, კატების ბევრ მფლობელს კვინკეს შეშუპებას საავადმყოფოში მოხვედრაზე მეტად საყვარელ ცხოველთან განშორებისა ეშინია. თანაც უბედურება ისაა, რომ ამ ტიპის ალერგია თავს მოულოდნელად სწორედ მაშინ იჩენს, როცა ავადმყოფობა უფრო მძიმე სტადიაში გადადის. უფრო ხშირად ალერგია პროგრესირებს კატების იმ მეპატრონეებში, რომლებიც კატებს ლოგინში იწვევენ. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც დაკვირვების შედეგად დადგინდა, სოფლად, სადაც კატები და მათი პატრონები ისე მჭიდროდ არ ურთიერთობენ, კატებზე ალერგია, ფაქტობრივად არ გვხვდება.

# ჯულიეტა კაპულეტის დაბადების დღე



**ყოველი წლის 16 სექტემბერს, იტალიის ქალაქ ვერონაში ხალხი დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის უკვდავი გმირის ჯულიეტა კაპულეტის დაბადების დღის აღსანიშნავად დღესასწაულს აწყობს. მაგრამ, სავსებით ბუნებრივია კითხვა: შეიძლება თუ არა გამოგონილ გმირს დაბადების დღე ჰქონდეს?**

შეიძლება! — ამტკიცებენ მკვლევარები, რომლებმაც შეძლეს იმის დადგენა, რომ რომეოსაც და ჯულიეტასაც რეალური ისტორიული პროტოტიპები ჰყავდა. შექსპირი არც პირველი იყო, არც მეორე, ვინც მათი ტრაგიკული სიყვარულის ამბავი აღწერა. მის წინამორბედებს შორის სულ მცირე ხუთი ავტორია — ერთი ინგლისელი და ოთხი იტალიელი. ერთ-ერთმა მათგანმა, იტალიელმა **ლუიჯი და პორტომ** ისტორიული ნოველა „ჯულიეტა“ შექსპირამდე 70 წლით ადრე დაწერა. სწორედ ამ ნაწარმოებშია სავსებით კონკრეტული მოცემულობა: „ჩვენი ქალიშვილი სულ ტირის. ამიტომაც, სანამ დარდს გადაჰყოლია, საჭიროა მისი გათხოვება. იგი ხომ წლეულს, წმ. ევფიმიას სახელობის დღეს 18 წლისა სრულდება“. წმ. ევფიმიას დღეს კი ეკლესია სწორედ 16 სექტემბერს აღნიშნავს. სხვა გამოკვლევებით კი დადგინდა, რომ სინამდვილეში ქალიშვილს ჯანოცა ერქვა, იგი დიდებულთა გვარის დალ კაპელოს შთამომავალი იყო და 1284 წელს დაიბადა.

# სიურპრიზიანი ჩემოდანი

**ქურდებისგან საკუთარი თავის თავად დამცველი ჩემოდანი შექმნა ყოფილმა სკოლის მასწავლებელმა, სლოვაკმა სტეფანე ვამოსმა.**

ახალი კონსტრუქციის ჩემოდანში ჩაკერებულია მავთულების სისტემა და უამრავი ელექტრონული ხაფანგია დაგებული. სისტემა საგანგებო კოდის მეშვეობით აქტიურდება. როცა უცხო პირი ჩემოდანს ხელს ჰკიდებს, შემდეგ მისი მოცილება უკვე აღარ შეუძლია: როგორც კი მას იატაკზე დაადგამს, მაშინვე 240 დეციბელის სიმძლავრის სირენა ჩაირთვება, რომლის გათიშვა მხოლოდ კოდის აკრეფით შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში 5 წამში... აფეთქება ხდება, რომელიც ქურდს კი არ დააზიანებს, სამაგიეროდ, საგანგებო მტვერს შეაფრქვევს, რომელიც წყლით არ ირეცხება. ამიტომ ქურდმა მიმალვაც რომ მოახერხოს, პოლიცია მას ადვილად მიაგნებს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5599; ევრო - 2.7250;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2283;
100 რუბლი - 3.9854; თურქული ლირა - 0.7250;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4493;
1000 სომხური დრამი - 5.3276.

**ამინდი 6 დეკემბრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -5 | დღე +4 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -12 | დღე +0 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -3 | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8 | დღე +2 |
| თბილისი: | ღამე -2 | დღე +2 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE